24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 3 სექტემბერი, 2003 წელი. №236 (448)

ფასი 30 თეთრი

# ცესკო სასამართლოს წინაშე წარდგება

*ერთი კვირის წინათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებას "საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობის, მათი გამოყენების წესისა და კონტროლის შესახებ", რომლის ძალითაც საარჩევნო პროცესში მასმედიის თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენით, ამომრჩეველს მექანიკური არჩევანის გაკეთების საშუალებაღა რჩება, საფრთხე ორი მხრიდან დაემუქრა. როგორც ცნობილია, რიგმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს დადგენილება უკვე გაასაჩივრეს და სასამართლო პროცესი დღეს დაიწყება. მეორე მხრივ კი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალდანიშნული თავმჯდომარე ამ დადგენილების გაუქმებას პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს.*

სოფიკო ჩხაიძე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებას პოლიტიკური შეფასება იმთავითვე მიეცა. პოლიტიკოსთა აზრით, ამ გადაწყვეტილების მიღებით ცესკო-მ, ფაქტობრივად, საჯარო განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ არჩევნების პროცესის დემოკრატიულად ჩატარებაზე მეტად, მისი შედეგები აინტერესებს. რაც შეეხება, "საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობის, მათი გამოყენების წესისა და კონტროლის შესახებ" დადგენილების სამართლებრივ შეფასებას, ათმა მასობრივმა საინფორმაციო საშუალებამ

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახელისუფლებო "უღლის" ქვეშ

## გურჯაანელებიც და თბილისელებიც ერთნაირად გმინავენ

გიორგი ასანიშვილი

*საარჩევნო ბლოკმა "ბურჯანაძე-დემოკრატები" "ტემპი აკრიფა". სამეგრელოსა და გურიაში სტარტაღებული წინასაარჩევნო კამპანია გუშინ კახეთში გაგრძელდა: ნინო ბურჯანაძე და მისი თანამოაზრეები გურჯაანის რაიონს ესტუმრნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, სოფელ ახაშენის გამგებელი, ზაზა კობიაშვილი წარუდგინეს. გუშინვე, კახეთიდან დედაქალაქში დაბრუნებულმა ნინო ბურჯანაძემ სასტუმრო "საქართველოში" განთავსებული საარჩევნო შტაბის (თავმჯდომარე დავით სალარიძე) პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა. ასეთი სპრინტერული ტემპის დაგდებას "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკი, როგორც ჩანს, არც მომავალში აპირებს: მისი ლიდერი დღეს მშობლიურ ქუთაისს ეწვევა, საიდანაც მას იმერეთის სხვადასხვა რაიონებში "გადაიპატიჟებენ".*

გაგრძელება A3 გვერდზე



# ერაყის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ ერაყში კიდევ ერთი ძლიერი აფეთქება მოხდა. ტერაქტი ბაღდადში საპოლიციო უბანთან განხორციელდა, სადაც ავტომანქანში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ერაყის დროით 11 საათზე ამოქმედდა. აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაიჭრა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ერაყში ამერიკის და ბრიტანეთის სამხედრო ძალები ვითარებას ვერ ფლობენ. ამდენად, დღითი დღე დასტურდება, რომ ერაყის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია აუცილებელია. ასეთი ინიციატივით თავად ერაყში ომის ინიციატორი ქვეყნები – აშშ და დიდი ბრიტანეთი გამოდიან. მათ მიერ უკვე მომზადებულია რეზოლუციის პროექტი, რომელიც ერაყში საერთაშორისო სამხედრო ძალების განლაგებას ითვალისწინებს. თუმცა, ვაშინგტონის მოთხოვნით, საერთაშორისო სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის ფუნქციას კვლავ ამერიკელები შეასრულებენ.*

ჯერ კიდევ შაბათს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ იგი მზად არის მხარი დაუჭიროს ასეთ ვარიანტს, თუკი ეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში განხორციელდება. ერაყში შექმნილი ვითარება და ვაშინგტონის ინიციატივა (კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის შესახებ) იტალიაში ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტის დროს ორი ქვეყნის ლიდერებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთ ძირითად

გაგრძელება A5 გვერდზე




# როგორ აღმოჩნდა მაია ნადირაძე "ნაციონალებში"

ლელა მჭედლიძე

"ნაციონალური მოძრაობა" გუშინ ორი ახალი წევრით შეივსო. პოლიტიკაში ახალი სახე აქედან მხოლოდ ერთი, ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმერ გუცაევია, მეორე კი - სტაჟიანი "ტრადიციონალისტი" მაია ნადირაძე. რატომ შეაჩერა ამ ხალხმა არჩევანი ნაციონალურ მოძრაობაზე? თითოეულს საამისოდ თავისი არგუმენტი აქვს, თუმცა, თუ გუცაევის გამოჩენა სააკაშვილის მომხრეთა რიგებში ბევრს არ გაკვირვებია, მაია ნადირაძეზე იგივეს ვერ იტყვი. წლების განმავლობაში აკაკი ასათიანის ერთგული თანამოაზრე და თანამებრძოლი დღეს თავისი ყოფილი პარტიის შიდა ვითარებაზე საუბარს თავს არიდებს. ამბობს მხოლოდ იმას, რომ მისი გადაწყვეტილება აკაკი ასათიანისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, სააკაშვილთან კი "ნაციონალების" კურსმა მიიყვანა. **"ნაციონალური მოძრაობა" დღევანდელ ხელისუფლებასთან ყველაზე რეალურად დაპირისპირებული და მებრძოლი ძალაა,"** - ამბობს მაია ნადირაძე. ისე კი, მან გუშინ აღიარა, რომ გადაწყვეტილება უცბად არ მიუღია და ამაზე, დაახლოებით, ორი კვირის განმავლობაში ფიქრობდა.

სულ სხვაგვარადაა საქმე ვლადიმერ გუცაევთან. ფეხბურთელი არ მალავს, რომ პოლიტიკაში სააკაშვილის ჯგუფთან ერთად მოსვლა თავად მისი ინიციატივა იყო. "ნაციონალური მოძრაობა" მისთვის "სუფთა რეპუტაციის მქონე პარტიაა". თუ სააკაშვილის გარემოცვაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რომელი რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინონ მაია ნადირაძე, ან საერთოდ, მხოლოდ პარტიულ სიაში ხომ არ ჩასვან, უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ გუცაევი ახალგორის რაიონის მაჟორიტარობას აპირებს. აქ მას ერთ-ერთ კონკურენტად ახალგორის გამგებელი ეყოლება, რომელიც, ამავე დროს, სააქციო საზოგადოება "ლუდი "ლომისის" მეპატრონეა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პენსიის მაძიებლები პროკურატურის კართან აღმოჩნდნენ

*მას შემდეგ, რაც "ნაციონალურმა მოძრაობამ" რამდენიმე რაიონის პენსიონერთა პრობლემა შიმშილობის აქციით გადაჭრა და სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერი აღსრულებით დააგვირგვინა, სასოწარკვეთილი ფენისთვის პენსიის მიღების ერთადერთ იმედად სწორედ სასამართლო იქცა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის და, აქედან გამომდინარე, პენსიონერების გამარჯვებით აღშფოთებულმა პერზიდენტმა მართლმსაჯულების წარმომადგენლებს თითი დაუქნია, შესაძლებელია, პენსიონერთათვის სამართლის ძებნა არც მართლმსაჯულებაში იყოს იოლი.*

თამარ კაციტაძე

14-ლარიანი პენსიის მაძიებელ ზუგდიდელ პენსიონერებს საკუთარი სიმართლის მტკიცება სასამართლოში საარსებო მინიმუმისთვის ბრძოლის ნაცვლად ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში მოუწევთ. პროკურატურამდე კი ისინი, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი ირწმუნება, სწორედ მოსამართლეებისადმი პრეზიდენტის უკანონო მითითებამ მიიყვანა. **"მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ მოსამართლეებზე ზეწოლა მოახდინა, ისინი პენსიონერთა სარჩელს განსახილველად არ იღებენ, რაც კანონის უხეში დარღვევაა. სწორედ პრეზიდენტის მითითებისადმი მორჩილებამ და მოსამართლეთა უსამართლო დამოკიდებულებამ მიიყვანა ზუგდიდელი პენსიონერები უკანონობამდე",** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში კობა დავითაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გროზნოს სამოთხე რუსული ინტერპრეტაციით

*საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ჩეჩნეთის საკითხთა მინისტრმა სტანისლავ ილიასოვმა შინაგან საქმეთა მინისტრ კობა ნარჩემაშვილთან პროტოკოლი გააფორმა. ეს დოკუმენტი ჩეჩენი დევნილების საკითხზე ორმხრივ თანამშრომლობას ეხება. ამგვარი დოკუმენტი საქართველო-რუსეთს შორის პირველი როდია. ახალი დოკუმენტის გაფორმების აუცილებლობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მტკიცებით, ყოველ წელს ახალი რეალობიდან გამომდინარე დგება.*

ლელა მჭედლიძე

ილიასოვი გუშინ ისევ ადასტურებდა რუსეთის ოფიციალურ წრეებში უკვე დამკვიდრებულ პოზიციას, რომ "პანკისის ხეობაში მდგომარეობა ახლა ბევრად უკეთესია"... თუმცა, ამ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის გარდა, რუსები გუშინ უკვე იმის დამტკიცებასაც ცდილობდნენ, რომ საერთოდ, მდგომარეობა ჩეჩნეთშიც უკეთესობისკენ შეიცვალა, განსაკუთრებით - გროზნოში. თუ ის ინფორმაცია, რასაც ფედერალური მინისტრი თავისი ვიზიტის დროს საქართველოს წარმომადგენლებს აცნობდა, ან დაპირებები ჩეჩნებისათვის ნაწილობრივ

გაგრძელება A3 გვერდზე

# კადიროვი მოსკოვის უალტერნატივო ფავორიტად რჩება

*ჩეჩნეთში ოქტობრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში 11 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ყველაზე ბოლოს, საარჩევნო კომისიაში ახმად კადიროვი, მოსკოვის მიერ დანიშნული ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დარეგისტრირდა. სწორედ ახმად კადიროვი მიიჩნევა ყველაზე მაღალი შანსების მქონე კანდიდატად ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამასთან, ზოგიერთი ანალიტიკოსის შეფასებით, ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ მოსკოვის დამოკიდებულება შესაძლოა შეიცვალოს.*

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისთვის" პრაღიდან

ლონდონის ომისა და მშვიდობის შემსწავლელი ცენტრის მიერ ივნისში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კადიროვს ამომრჩეველთა 11 პროცენტი ანიჭებს უპირატესობას, 62 პროცენტი კი არ აპირებს მისთვის ხმის მიცემას.

მიუხედავად ამისა, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ არჩევნებს სწორედ ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი მოიგებს. ასე ფიქრობს რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი, რომელიც მცირე ხნის წინ დაბრუნდა ჩეჩნეთიდან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მოკლეს ვლადისლავ არძინბას ბიძაშვილი

გუშინ შუადღისას, გუდაუთის ცენტრში, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს ცნობილი აფხაზი ბიზნესმენი ლევან არძინბა. სოხუმელი სამართალდამცველები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. მათი თქმით, თავდასხმის დეტალები და ქილერთა ვინაობა უცნობია.

ლევან არძინბა ვლადისლავ არძინბას ბიძაშვილი იყო. იგი წლების განმავლობაში სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების ბიზნესით იყო დაკავებული, ოთხმოცდაათიან წლებში კი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და თავის ბიზნესს სოხუმსა და საქართველოში იქიდან მართავდა. მას საკმაოდ სერიოზული კავშირები ჰქონდა მსოფლიოში ცნობილ სიგარეტის მწარმოებელ და ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანიებთან.

ცოტა ხნის წინ ლევან არძინბას სახელი აფხაზეთში მოქმედ ნარკომაფიასაც დაუკავშირდა. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ლევან არძინბა გუდაუთაში მოქმედ ნარკოტიკების მწარმოებელ ქარხანას ამუშავებდა. სხვათა შორის, აფხაზეთში მოქმედი ნარკომაფიის თავკაცად მიიჩნევდნენ ლევან არძინბას ძმას აკა არძინბასაც, რომელიც რამდენიმე თვის წინ მოსკოვში მოკლეს.

ლევან არძინბას, რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა, პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" მეთაურთან, დავით შენგელიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ამბობენ, ისინი საერთო ბიზნესითაც იყვნენ დაკავშირებულნი. სხვათა შორის, ამ მეგობრულ ურთიერთობას დავით შენგელიაც არ უარყოფდა და აცხადებდა: **"ლევან არძინბას ცოლი ჩემი ნათესავია. მე მასთან წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. იგი აფხაზეთის ომის დროს იქ არ იმყოფებოდა, მეტიც, ლევან არძინბა ამ ომის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ქართველებს ყოველთვის მაქსიმალურად ეხმარებოდა".**

დავით შენგელიას გარდა, ლევან არძინბას საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც ჰქონდა ურთიერთობა. მეტიც, რამდენიმე თვის წინ მან ქართულ მხარეს ბიზნეს გეგმაც შესთავაზა. ლევან არძინბას თბილისში სახლი ჰქონდა და იგი ოჯახთან ერთად ხშირად იყო დედაქალაქში.

სხვათა შორის, ლევან არძინბა და მისი ძმა თავის დროზე აფხაზებისათვის რუსული პასპორტების გაცემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შესაძლებელია ამის გამოც, რამდენიმე თვის წინ სოხუმში, ვლადისლავ არძინბას ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული გამოსვლებისას, ოპოზიციის მიერ გავრცელებულ პროკლამაციებში ლევან არძინბა აფხაზი ხალხის მოღალატედაც დაასახელეს.

არსებული ვერსიით, ლევან არძინბას მკვლელობის მოტივად ქართველებთან მისი მჭიდრო ურთიერთობაც სახელდება. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზმა სეპარატისტებმა ე.წ. პრეზიდენტის ბიძაშვილს სწორედ ეს ურთიერთობა ვერ აპატიეს.

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 36 |
| ქუთაისი | 39 |
| ბათუმი | 37 |
| სოხუმი | 34 |
| ფოთი | 37 |
| თელავი | 34 |
| ზუგდიდი | 38 |
| გორი | 33 |
| ახმეტა | 34 |
| ჭიათურა | 37 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

A2 ამბები
A3 ამბები
A4 ამბები
A5 უცხოეთი
A6 სპორტი
A7 რევიუ
A8 სხვადასხვა

# პენსიის მაძიებლები პროკურატურის კართან აღმოჩნდნენ

პირველი გვერდიდან

საქმე ის გახლავთ, რომ ორიოდე დღის წინ ზუგდიდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ ნუგზარ სარიამ 250 პენსიონერს პენსიის მიღების მოთხოვნით შეტანილი სარჩელის განხილვაზე უარი უთხრა. მოსამართლის გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა მოხუცებმა კი ჯგარი სასამართლოს შენობას და თავმჯდომარეზე იყვირეს. იუსტიციის საბჭოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეები სასამართლოს შენობაში შეიჭრნენ, დაარბიეს იქ განთავსებული ავეჯი და ტექნიკა. სასამართლოს თავმჯდომარეს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. სასამართლოს თავმჯდომარის გამოყვანა პოლიციის ჩარევის შემდეგ მოხერხდა.

აღნიშნულ ფაქტზე ზუგდიდის რაიონის პროკურატურამ 365-ე მუხლის მესამე ნაწილით (მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის) აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

იუსტიციის საბჭოს პრესცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებით, **"სასამართლო შენობის დარბევის აქციის ორგანიზატორობას უწევდა ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდელი აქტივისტი".**

ზუგდიდის პროკურორის მურთაზ ნარმანიას თქმით, მოვლენები ზარალდებით - სასამართლოს თავმჯდომარის აქციის ორგანიზატორობას ბრალს სდებს პენსიონერების ადვოკატს, "ნაციონალური მოძრაობის" წევრს ლაშა დარსალიას. თუმცა, პროკურორი იქვე დასძენს, რომ სასამართლო შენობის დარბევის პერიოდში პოლიტიკურ მოწოდებებს ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის საბჭოს წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა აღნიშნული ფაქტი პოლიტიკურ ინტრიგებს დაუკავშირა და აღნიშნა: **"იუსტიციის საბჭო კატეგორიულად გმობს მომხდარ ფაქტს და დაუშვებლად მიიჩნია პოლიტიკური მიზნებისთვის სასამართლო ხელისუფლებაზე განხორციელებული ზეწოლა. ვიმედოვნებთ, რომ პროკურატურა არ გაუწევს ანგარიშს მოსალოდნელ პოლიტიკურ ზეწოლას და იმოქმედებს მხოლოდ კანონის შესაბამისად".**

კანონის მოთხოვნის სრულ დაცვას და დამნაშავის დასჯას გვპირდება რაიონის პროკურორიც. დაზარალებულთა მიერ მიცემული ჩვენებებიდან კი "დამნაშავე" უკვე ცნობილია. იგი "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ადვოკატი დარსალიაა.

"ნაციონალური მოძრაობის" კავშირს სასამართლოს შენობის დარბევასთან კატეგორიულად უარყოფს კობა დავითაშვილი. იგი დამნაშავედ თავად ზუგდიდის სასამართლოს თავმჯდომარეს მიიჩნევს. **"მართალია, პენსიონერებს სასამართლოს გზით სამართლის მოძებნაში "ნაციონალური მოძრაობა" ეხმარებოდა, მაგრამ შემდეგ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით აღშფოთებული ხალხის დამშვიდება ადვოკატმა ვეღარ შეძლო. სხვათა შორის, პენსიონერებისაც ან მასაც მოხდა მუშტი. ამრიგად, დამნაშავე ის მოსამართლეა, რომელიც პარლამენტის უკანონო მითითებას უსიტყვოდ დაემორჩილა და ხალხის კანონიერ მოთხოვნას იგნორირება გაუკეთა. მომხდართან დაკავშირებით პასუხი სწორედ მას უნდა მოსთხოვონ",** – ასეთია "ნაციონალური მოძრაობის" წევრის კობა დავითაშვილის პოზიცია.

## მოკლედ

# "თბილგაზის" მაღალჩინოსანი მაქინაციებისათვის დააკავეს

თბილისის პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისებისათვის "თბილგაზის" საქსელო სამმართველოს უფროსი გურამ გალდავა მისივე ბუღალტერთან, როლანდ მამისეიშვილთან ერთად დააკავა. დაკავებულია "თბილგაზის" კიდევ ერთი ბუღალტერი – ანა ლომაია.

"თბილგაზში" კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების გამო, პროკურატურამ საქმე ჯერ კიდევ 7 მაისს აღძრა. ეჭვის საფუძვლად კი გალდავას მიერ მერიიდან, ქსელების რეაბილიტაციის მიზნით, "თბილგაზში" გადარიცხულ მილიონ 200 ათას ლართან დაკავშირებული მაქინაცია იქცა. როგორც გაირკვა, ეს თანხა, მოგვიანებით, სამმართველოს ბუღალტრების პირად ანგარიშებზე აღმოჩნდა.

გალდავა ირწმუნება, რომ ეს თანხა მან "თბილგაზის" ქსელების რეაბილიტაციისათვის საჭირო მილების შესაძენად გამოიყენა. თუმცა, პრტოკურატურას მისი მტკიცებულებები საეჭვოდ მიაჩნია. მით უმეტეს, რომ დედაქალაქის გაზმომარაგების ქსელში დაწყებული სარემონტო სამუშაოების თარიღი ამ თანხით ჩატარებული მაქინაციების თარიღს ემთხვევა.

*24 საათი*

# საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ეჭვქვეშ დგას

"2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ეჭვქვეშ დგას," - აცხადებს "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე.

არჩევნების შესაძლო ჩაშლის მიზეზად ბარამიძემ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გუშინდელ არშემდგარ სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაუფინანსებლობა დაასახელა. მან აღმასრულებელ ხელისუფლებას მოსთხოვა, დღესვე განაცხადოს, რის გაკეთებას აპირებს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დასაფინანსებლად.

ბარამიძის ეჭვი ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმაც გაიზიარა. წერეთელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ცესკო-სა და თავად არჩევნების დაუფინანსებლობის გამო, ახალი საარჩევნო კოდექსი გაყინულ კანონად დარჩება ისევე, როგორც მასში ჩადებული ნოვაციები ამომრჩეველთა მარკირებისა და არჩევნების შედეგების პარალელური დათვლის შესახებ.

**ინტერ-პრესი**

This is to announce two public meeting to hear views and concerns from affected parties, local administrators and national and international NGOs on the potential financing of the Baku – Tbilisi – Ceyhan pipeline, the South Caucasus pipeline and associated projects. These meetings will occur in

**Borjomi, September 8th at 930, Composers House Hotel**
**Tbilisi, September 11th at 930, Metekhi Palace Hotel**

The international lenders, International Finance Corporation of the World Bank Group and the European Bank for Reconstruction and Development that this is a Safe, Fair Sustainable project. These meeting are an opportunity for them to hear directly from the public before making recommendations to their Boards regarding funding for the pipeline.

Aithough this meeting is open to the public, space is limited. Groups will be asked to send just one representative. more information can be obtained by contacting **Maia Imedadze. tel: 893 93-26-85, cdr-maya@yahoo.com.**

დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი ნავთობსადენის შესახებ

ვაცხადებთ ორ საჯარო შეხვედრას ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და მათთან დაკავშირებული პროექტების პოტენციური დაფინანსების თაობაზე. მოსაზრებებისა და შეხედულებების მოსასმენად ყველა დაინტერესებული მხარის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, საქართველოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან აღნიშნული შეხვედრები შედგება:

**8 სექტემბერს, ბორჯომში, კომპოზიტორების სახლში, 9.30 საათზე.**
**11 სექტემბერს, თბილისში, "მეტეხი ოტელ პალასში", 9.30 საათზე.**

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები - მსოფლიო ბანკის ფინანსური კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მოწადინებულები არიან, დაარწმუნონ თავიანთი დირექტორთა საბჭოები, რომ ეს პროექტი არის უსაფრთხო, მდგრადი განვითარების პერსპექტივის მქონე და ემყარება სამართლიანობის პრინციპებს. აღნიშნული შეხვედრების საშუალებით ისინი შეძლებენ, უშუალოდ მოისმინონ საზოგადოებრიობის აზრი, ვიდრე რეკომენდაციებს წარუდგენენ საბჭოებს მილსადენის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული შეხვედრები საზოგადოებისთვის ღიაა, მაგრამ დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია ტექნიკური მიზეზების გამო და ამიტომ ორგანიზაციებს ვთხოვთ, გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით
**მაია იმედაძეს. ტელ: 893 93-26-85.**
**cdr-maya@yahoo.com**

# "არ მინდა, თავში მიკაკუნებდნენ!"

## უპრეცედენტო ნაბიჯი - ფოთის სასამართლოს თავმჯდომარე პროტესტის ნიშნად გადადგა

ვერიკო თევზაძე

*"მე არ მინდა, პრეზიდენტით დაწყებული, სახელმწიფო მინისტრით დამთავრებული, თავში მიკაკუნებდნენ და მასწავლიდნენ, რა ვაკეთო!", - გუშინ ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ზაურ გურგენიძე პროტესტის ნიშნად გადადგა.*

**"იუსტიციის საბჭოს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. საბჭოს მდივანმა ზურაბ აბაშიძემ და კიდევ რამდენიმე წევრმა ამ უწყებას ერთადერთი ფუნქცია დაუტოვეს: დევნონ მოსამართლეები, ჰყავდეთ ისინი მორჩილად, მუდმივი შიშის ქვეშ, რათა არ გაბედონ და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება არ მიიღონ,"** - აცხადებს სასამართლოს გადამდგარი თავმჯდომარე.

ზაურ გურგენიძეს მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოსამართლეების გასაგონად განაცხადა – ჩემი დანიშნულები ხართ და უჩემოდ გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოთო. მეტიც, გურგენიძემ ჩვენთან საუბრისას თქვა, რომ პრეზიდენტის განცხადებას მოჰყვა ზარები იუსტიციის საბჭოდან: **"სასამართლოს ყველა თავმჯდომარეს დაურეკეს, თუ მათთან შევიდოდა საჩელი გაყინული პენსიების თაობაზე, აუცილებლად შეეტყობინებინათ საბჭოს მდივნისთვის, რომელიც დირექტივებს გასცემდა. რასაკვირველია, ჩემთანაც დარეკეს. კონკრეტულად, იუსტიციის საბჭოს მდივნის მოადგილე ლადო გაბრიელაშვილი მელაპარაკა."**

ზაურ გურგენიძე, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა ქუთაისის საოლქო სასამართლოსთან, ამ დაწესებულებას კორუმპირებულობაში ამხელს: **"მთლიანად, ეს სასამართლო თავისი თავმჯდომარით, მამუკა მამალაძით დაწყებული, უკანონობის და კორუფციის ბუდეა."** გადამდგარი თავმჯდომარე დღევანდელ სასამართლო სისტემას "დამპალს" უწოდებს და დასძენს, რომ წარმატებით დაწყებულმა რეფორმამ კრახი განიცადა: **"შედეგად მივიღეთ იმაზე უარესი სისტემა, ვიდრე მანამდე გვქონდა. დღეს მე ვერ ვხედავ ჩემს ადგილს ამ სისტემაში."**

ზაურ გურგენიძე სასამართლო სისტემაში რამდენიმე ნათელ პიროვნებას, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას ხედავს. მისივე თქმით, ლადო ჭანტურია მას სთხოვდა, საპროტესტო ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ გურგენიძეს მოთმინების ფიალა ბოლომდე აევსო: **"მდევნიდნენ იმის გამო, რომ არავის დირექტივას არ ვასრულებდი, არც წილებზე ვურიგდებოდი ვინმეს. იუსტიციის საბჭოს მიერ მასალების გადაგზავნის შემდეგ პროკურატურამ სამჯერ აღძრა ჩემს წინააღმდეგ საქმე. სამივეჯერ გავმართლდი. სხვათა შორის, ზურაბ აბაშიძის მამა პროკურატურაში მუშაობს და აბაშიძემ მამის თანამდებობაც კი გამოიყენა იმისათვის, რათა დავეჭირე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა."**



ზაურ გურგენიძეს მობეზრდა მუდმივი ზეწოლის ქვეშ ყოფნა.

მაინცდამაინც წინასაარჩევნო პერიოდში რატომ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა სასამართლოს თავმჯდომარეს? გურგენიძის პასუხი ასეთია: **"დარეკვები და ზეწოლა არჩევნების წინ გაასმაგდება. მე არ მინდა, პრეზიდენტით დაწყებული, სახელმწიფო მინისტრით დამთავრებული, თავში მიკაკუნებდნენ და მასწავლიდნენ, რა ვაკეთო."**

ზაურ გურგენიძემ იუსტიციის საბჭოს გუშინ ოფიციალური განცხადებით მიმართა, რათა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე წარდგინება გაუკეთოს. გურგენიძის საქციელი უპრეცედენტოა: დღემდე სასამართლოს არც ერთი თავმჯდომარე თანამდებობიდან არ გადამდგარა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "XXI საუკუნის" ერთ-ერთი ლიდერის ანზორ აბრალავას აზრით, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერის ასლან აბაშიძის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ალტერნატივა არ გააჩნია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ზურაბ ჟვანიას გუნდს წინასაარჩევნოდ შავი "პი-არის" წარმოებაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყვარელში სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერით მაჟორიტარ დეპუტატად ნანა პატარკაციშვილი დასახელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "21-ე საუკუნე" ორგანიზაციიდან გარიცხვით ემუქრება იმ პირებს, რომლებიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში "დემოკრატიული აღორძინების კავშირს" მხარს არ დაუჭერენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ილუზია, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ობიექტური და კონტროლირებადი იქნება, დაიმსხვრა", - აცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე, რომლის აზრით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი არაობიექტურია და ყოველთვის პირად თუ ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტის უკანასკნელი საშემოდგომო სესია 9 სექტემბერს გაიხსნება. **პრაიმ-ნიუსი**

# ზეზვა ღუღუნიშვილი: „ტარანი თვლითაა"

*საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" სახელისუფლებო ბლოკი არ ყოფილა, თუმცა, მისი წინასაარჩევნო პროგრამა მთლიანად ეფუძნება პრეზიდენტის იმ საპარლამენტო გამოსვლას, რომელიც აყვავებულ საქართველოსა და ციფრულ განხეთქილებას ეხებოდა. თანაც, ბლოკის ლიდერებს არჩევნებში სწორედ პრეზიდენტის ელექტორატი ეიმედებათ გთავაზობთ ინტერვიუს საარჩევნო ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთ ლიდერთან ზეზვა ღუღუნიშვილთან.*

**- სახელისუფლებო ბლოკმა კვოტების გადანაწილება და მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობის დადგენა თითქმის დაასრულა. ახლა უკვე დროა, აქტიური წინასაარჩევნო კამპანია დაიწყოთ. სოციალური გამოკითხვების თანახმად, თქვენი რეიტინგი საკმაოდ დაბალია. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველთა რა კატეგორიის იმედი გაქვთ და რა წინასაარჩევნო პროგრამით წარდგებით მათ წინაშე?**

- თქვენ თუ აკვირდებით სხვადასხვა ინტერაქტიულ გამოკითხვებს, რომელსაც საქართველოს ტელევიზია გვთავაზობს ხოლმე? ალბათ, ყველამ ერთად - თქვენც, ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა და საზოგადოებამ კარგად უნდა დაინახოს, რომელ ელექტორატზე მუშაობს ე.წ. სახელისუფლებო ბლოკი. ეს საზოგადოების ფართო სპექტრია. საერთოდ, აქვე უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ ცუდად ჟღერს გამოთქმა სახელისუფლებო ბლოკი.

**- რატომ, თქვენ ხომ მართლაც ხელისუფლების მხარდამჭერები ხართ?**

- ჩვენც ისეთივე დეპუტატები ვართ, როგორც სხვა დანარჩენი. პოლიტიკას თანამოაზრეთა ჯგუფი განსაზღვრავს. შემდეგ უკვე ეს პოლიტიკა ტარდება ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან ერთად, რადგან ის ქართული პოლიტიკის მამამთავარიც არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამოთქმა "ხელისუფლების მხარდამჭერი საარჩევნო ბლოკი" გამართლებული არ არის. თანაც, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენ მთავრობის მიერ პარლამენტში შემოტანილი ბევრი საკითხისათვის მხარი არ დაგვიჭერია.

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ მთელ რიგ დადგენილებებს, იგივე მშენებლობის სამინისტროს გაუქმებას, მთავრობის რეორგანიზებას. იგივე ბიუჯეტის სეკვესტრის საკითხს. თქვენ როგორ გგონიათ, ოპოზიციამ არ გააკეთა განცხადება, რომ სეკვესტრს მხარს მხოლოდ მაშინ დაუჭერდნენ, მთავრობა თუ გადადგებოდა? მაგრამ იქნებოდა კი ეს ქვეყნისთვის სასარგებლო? ჩვენ ჩავთვალეთ, რომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა ახლა, წლის ბოლოს, გაუმართლებელი იყო. ვიწროპარტიულ ინტერესებს სახელმწიფოებრივმა მიდგომამ აჯობა. საერთოდ, არ დაგავიწყდეთ, რომ ხელისუფლება იცვლება, ბლოკი კი რჩება. ხელისუფლებაც იმიტომ იცვლება, რომ ეს ბლოკის ნებაა.

**- ისევ ელექტორატს დავუბრუნდეთ. რომელი სოციალური ფენაა თქვენი საყრდენი?**

- ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით ძალიან საინტერესო ორი ინტერაქტივი ჩაატარეს. ელექტორატის 21-მა პროცენტმა - ერთხელ და 24-მა მეორედ ისურვა, პრეზიდენტი შევარდნაძე მესამე ვადითაც ყოფილიყო არჩეული. თუ ჩვენ ამ 24 პროცენტიდან ამოვალთ, როგორც დაუმუშავებელი ელექტორატიდან, საკმაოდ დიდი ელექტორატი გვეყოლება. მათ შორის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი იქნება.

**- თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა როგორი იქნება?**

- იგი პრეზიდენტის შარშანდელ გამოსვლას დაეფუძნება.

**- იმ გამოსვლას, სადაც პრეზიდენტი აყვავებულ საქართველოსა და ციფრულ განხეთქილებებზე საუბრობდა?**

- არ ვიცი, რა ციფრულ განხეთქილებებს გულისხმობთ, მაგრამ ეს არის საკმაოდ სერიოზული და დიდი საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც არ არის დაკავშირებული არც 500 დღესთან, არც 900 დღესთან და არც 21 კვირასთან. სხვა პარტიების პროგრამებში, ძირითადად, მხოლოდ სურვილებზეა საუბარი. ერთ-ერთი პარტია ამომრჩეველს ასე ესაუბრება: ჩვენ შეგვიძლია დავასაქმოთ ადამიანები... საინტერესოა, ახლა რატომ ვერ ასაქმებენ? დაუშალა ვინმემ? თუ წარმოებისათვის არ არის შექმნილი საჭირო პირობები? ჩვენთან კი ყველაფერი კონკრეტულად განისაზღვრება.

**- თქვენი პროგრამა აღარ გადაიხედება?**

- ბაზისად სწორედ პრეზიდენტის გამოსვლას ავიღებთ. თუმცა, იგი დაიხვეწება. მასზე უკვე მუშაობენ ანალიტიკოსები, კეთდება გარკვეული აქცენტები.

**- არჩევნებში მხოლოდ პროგრამა ვერ გაიმარჯვებს, თუნდაც მისი ავტორი პრეზიდენტი იყოს. როგორც ამობენ, თქვენ საკმაოდ სუსტი პოზიციები გაქვთ რეგიონებში, თუნდაც იგივე იმერეთში, სადაც ამომრჩეველი არ გწყალობთ.**

- თქვენ მეუბნებით, ამბობენ, ბლოკს გაუჭირდებაო. მე კი გეუბნებით, რომ არ გაუჭირდება.

**- სხვათა შორის, ამას თქვენი ბლოკის ლიდერები აცხადებენ.**



"არ ვიცი, რა ციფრულ განხეთქილებებს გულისხმობთ, მაგრამ ეს არის საკმაოდ სერიოზული და დიდი საპროგრამო დოკუმენტი".

ბესო გულაშვილის ფოტო

- რაც შეეხება იმერეთს. შესაძლოა, პრობლემები იქიდან გამომდინარეობს, რომ ამ მხარის რწმუნებულს ისეთი პოზიციები აქვს დაკავებული, რომელიც შეშფოთებას იწვევს და დაფიქრებას საჭიროებს. არა მგონია, რომ იმერეთში, რომლის მოსახლეობაც ყოველთვის მაღალი საარჩევნო კულტურით გამოირჩეოდა, ახლა სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნას.

**- თქვენ არც სამეგრელოსა და გურიაში გაქვთ ძლიერი პოზიციები.**

- რანაირად გვაქვს სამეგრელოში სუსტი პოზიციები, როდესაც პირადად მე ვფლობ ინფორმაციას, რომ ერთ-ერთი პარტიის აქტივისტები ახლახან იქ ჩავიდნენ, მაგრამ რეგიონში არ შეუშვიათ.

**- რომელ პარტიას გულისხმობთ?**

- არ დავაკონკრეტებ, მაგრამ სამცხე-ჯავახეთშიც ასე იყო.

**- სამცხე-ჯავახეთის საკითხი ისედაც გასაგებია – რეგიონის მოსახლეობა მხარს, ალბათ, თქვენს ბლოკს დაუჭერს.**

- მესმის, რასაც გულისხმობთ. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეროვნული უმცირესობების ხმები ჩვენ გარანტირებული გვაქვს. მაშინ მიპასუხეთ, რატომ არ ქმნიან ოპოზიციური პარტიები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ისეთ ფონს, რომ ამ ხალხმა ოპოზიციონერებს დაუჭიროს მხარი? რატომ ახორციელებენ ჩვენი ოპონენტები განხეთქილების პოლიტიკას?

**- ნებისმიერი პარტიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება დევნილთა მხარდაჭერა. მათი უმრავლესობის განწყობა ყველასათვის ცნობილია. ისინი არა მხოლოდ პრეზიდენტს, არამედ თავად თამაზ ნადარეიშვილსაც განუდგნენ. ეს პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით?**

- გამაგებინეთ, რას ნიშნავს - თავად ნადარეიშვილს განუდგნენ?

**- იგი ხომ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ლიდერია?**

- საქართველოს პრეზიდენტს ნახევარი პოლიტიკური სპექტრი განუდგა და რატომ გიკვირთ, რომ ნადარეიშვილის მთავრობას იქაური პოლიტიკური სპექტრი განუდგეს?

**- ესე იგი, თქვენს ბლოკს ყველაფერი წესრიგში აქვს და არჩევნებში გაიმარჯვებთ კიდეც?**

- ჩვენ ყველგან გვაქვს გამარჯვების იმედი. პარლამენტში 70 დეპუტატსაც გავიყვანთ და 120-საც. ამომრჩეველი ყოველთვის ფიქრობს, რომელი გზაა სწორი და რომელი – არასწორი. აბა, ერთი, დამისახელოს ვინმემ, რომელ გზას გვთავაზობენ ოპოზიციური პარტიები. იგივე "ახლები" რომ ჰპირდებიან მოსახლეობას, 900 დღეში ყველაფერი კარგად იქნებაო, მათ ხომ შესანიშნავად იციან, რა იქნება ცხრაასი დღის შემდეგ – დამთავრდება ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობმაგისტრალი და შაჰდენიზის გაზსადენი. ბევრი პრობლემა, რაც საქართველოს დღეს აქვს, უკვე გადაწყვეტილი იქნება. როგორ გგონიათ, ეს პრობლემები მათი მოგვარებული იქნება, ვინც მერე ამ წარმატებებს ტაში უნდა დაუკრას? ეგრე სად არის?

**- გამოდის, რომ თქვენი ოპონენტები ამომრჩეველს ტყუილ დაპირებებს აძლევენ?**

- ეს ძალიან სერიოზული არჩევნები იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ჩვენი ოპონენტებისათვის. რომ ამბობენ, სამ ნოემბერს ამას და იმას ვიზამთო, ეგრე ნამდვილად არ არის. ტარანი თვლითაა. დაანგარიშება ყველაფერს უნდა. ჯერჯერობით, მე არ მაქვს იმის უფლებამოსილება, რომ ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა გითხრათ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ბლოკის მხარდამჭერთა რიგები ძალზე სერიოზულად იზრდება.

**- თბილისში გამრჯვების იმედი თუ გაქვთ?**

- ჩვენ გავაანალიზეთ ადგილობრივი არჩევნების შედეგები და საკმაოდ საინტერესო სურათი მივიღეთ. ბლოკში შემავალმა პარტიებმა, რომლებიც იმ დროს ცალ-ცალკე გამოდიოდნენ, ჯამში, თბილისში მეოთხე შედეგი აჩვენეს, "ნაციონალების", "ლეიბორისტებისა" და "ახლების" შემდეგ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რა რთული პერიოდი გვქონდა იმ დროს. სწორედ მაისის ბოლოს მოდიოდა მოქკავშირის დაშლის პიკი. ასე რომ, დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ

**- სხვათა შორის, ძალზე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია თქვენი მაჟორიტარი კანდიდატების გვარების გაჟღერებამ. თუნდაც, იგივე ბონდო შალიკიანის სახელმა ბევრი აშკარად არასასიამოვნოდ გააკვირვა. მას ხომ კრიმინალად ნათლავენ.**

- ადამიანის კრიმინალად მონათვლა ჩემი საქმე არ არის. როგორ გგონიათ, წინა არჩევნებში კრიმინალებს არ მიუღიათ მონაწილეობა? პარლამენტში არ იყო ასეთი ხალხი? ვისი ხელდასხმით მოხვდნენ ისინი პარლამენტში?

**- მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ახლაც იგივე უნდა გამეორდეს.**

- დიახ, სულაც არ ნიშნავს და არც გამეორდება.

**- ანუ, თქვენ ყველა კანდიდატი მოგწონთ?**

- ვინც დასახელდა, აბსოლუტურად ყველა.

**- და ბოლოს: იქნებ აუხსნათ ამომრჩეველს, რატომ უნდა დაუჭიროთ მხარი იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საკმაოდ არაპოპულარულ პრეზიდენტთან ასოცირდება?**

- კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით ამ შეფასებაში. თანაც, პოპულარობა და სანდოობა სხვადასხვა რამ არის. პოლიტიკური კინკლაობის პირობებში ყველას ავიწყდება, რომ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ხაზს შენარჩუნება უნდა. ამის გარანტი კი სწორედ პრეზიდენტი შევარდნაძეა.

# კადიროვი მოსკოვის უალტერნატივო ფავორიტად რჩება

პირველი გვერდიდან

**"მე თითქმის 80 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ გამარჯვებას ახმად კადიროვი მოიპოვებს. როგორც მე წარმომიდგენია, ამ ვარიანტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს ფედერალურ ცენტრს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვის ასეთი დამოკიდებულება უკვე აისახებოდა წინასაარჩევნო პერიოდზე. ეს კი ნიშნავს, რომ რაკი კადიროვს ჩეჩნეთში შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვს, სწორედ ისეთ შედეგებს მიიღებს, როგორიც თავად სურს,"** - ამბობს ბაბიცკი

ამ გავლენის მთავრი ინსტრუმენტი, ჟურნალისტ ანდრეი ბაბიცკის აზრით, კადიროვის ერთგული მილიციაა, რომელიც გაცილებით უფრო სასტიკი და დაუნდობელია, ვიდრე რუსეთის საჯარისო ნაწილები.

კადიროვის გამარჯვებაში ეჭვი არც მოსკოვის კარნეგის ცენტრის ანალიტიკოს ალექსეი მალაშენკოს ეპარება: **"მთავრია არა ის, ვინ ვის აძლევს ხმას, არამედ ის, თუ ვინ დაითვლის ამომრჩეველთა ხმებს. ხმები კი იქიდან გამომდინარე დაითვლება, რომ კადიროვი ძალიან მიმზიდველი ფიგურაა მოკოვისთვის."**

თუმცა, მოსკოველი ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარგავდეს კრემლის მხარდაჭერას, რისი მიზეზიც, შესაძლოა, კადიროვის ერთ თვის წინანდელი წამოწყება გამხდარიყო.

კერძოდ, ივნისის ბოლოს, კადიროვის მითითებით, შემუშავდა პროექტი ფედერალურ ცენტრსა და რესპუბლიკას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ჩეჩნეთის ბუნებრივი რესურსების (ძირითადად ნავთობის) განკარგვის გადასვლაზე ჩეჩნეთის ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ. ამ პროექტს, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვში დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან.

მაგრამ კრემლში კადიროვის აქციების დაცემას ძალზე ცოტა ექსპერტი თუ იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ კრემლს ყოველთვის რამდენიმე სცენარი აქვს, ფსონის გაუქმებას ახმად კადიროვზე, როგორც ჩანს, არ იჩქარებს - ასეთია ომისა და მშვიდობის შემსწავლელი ცენტრის ექსპერტის დე ვაალის მოსაზრება.

ამასთან, 5 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში ერთ-ერთი მთავარი ფაზაა ვლადიმირ პუტინის გეგმისა, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი ამბოხებული რესპუბლიკის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს.

მარტში, კრემლის კარნახით, ჩეჩნეთში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ჩეჩნეთს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში განიხილავს. ივნისში კი რუსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩეჩენი მეამბოხეების ამნისტიის შესახებ, რომლის მოქმედების ვადა სწორედ 1 სექტემბერს ამოიწურა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამნისტიის უფლებით მხოლოდ 200 ჩეჩენმა მებრძოლმა ისარგებლა. დანარჩენები კი კვლავ აცხადებენ, რომ არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო გააააქტიურებენ ბრძოლას, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მხოლოდ ბოლო კვირაში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე პარტიზანების თავდასხმების შედეგად 6 რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

თანაც, მოსკოვის გადაწყვეტილებით, ყოფილ პრეზიდენტს ასლან მასხადოვსა და ჩეჩენ სეპარატისტთა ყოფილ ლიდერებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული აქვთ. სწორედ ამიტომ, აგვისტოს ბოლოს, ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწეების ერთმა ჯგუფმა, მათ შორის აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ქვრივმა ელენე ბონერმა და ცნობილმა უფლებათდამცველმა სერგეი კოვალიოვმა, ღია წერილით მიმართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს. მიმართვის ავტორები მოუწოდებენ რუსეთის ხელისუფლებას, დაიწყოს მოლაპარაკებები ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერებთან, რათა ბოლო მოეღოს ძალადობასა და კონფლიქტს ამბოხებულ რესპუბლიკაში. თუმცა, ამ მიმართვაზე კრემლს რეაგირება არ მოუხდენია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "რაო ეეს როსსიი" ძველ ტარიფს ძალაში ტოვებს

მაია ურუშაძე

*გუშინ დილით, "თელასის" ახალმა გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა სემეკ-ის თავმჯდომარის, დავით მირცხულავასგან ელექტროენერგიაზე ძველი ტარიფის ძალაში დატოვების ნებართვა მიიღო. შედეგად, მანამ, სანამ "რაო ეეს როსსიი" საქართველოში მოქმედ დენის ტარიფს თავიდან არ გადასინჯავს და საკუთარ ეკონომიკურ გათვლებს არ წარმოადგენს, 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე მოსახლეობა ისევ 12,18 თეთრს გადაიხდის. როგორც "24 საათს" "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ აცნობა, ამ ორი დღის წინ "თელასის" გენერალურმა დირექტორმა უკვე გასცა განკარგულება, ქვითრების ძველი ტარიფით დაბეჭდვის თაობაზე.*

დანგირას მიკოლაიუნასი მიიჩნევს, რომ სემეკ-ის მიერ შემოთავაზებული დიფერენცირებული ტარიფი მრავალ სირთულეს გამოიწვევს. **"საჭიროა მომხმარებელთან ანგარიშსწორების სისტემის გადაკეთება, რასაც დრო სჭირდება,"** – განაცხადა მან.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო კი ძველი ტარიფის ძალაში დატოვების თაობაზე საუბრის წამოწყებას სავალუტო ფონდთან გეგმავს. ფონდი მიიჩნევს, რომ 12,18 თეთრის ოდენობის ტარიფი საქართველოს ენერგოსისტემისთვის, რომელსაც კრიზისისათვის თავის დასაღწევად მნიშვნელოვანი კაპიტალი სჭირდება, საკმაოდ დაბალია.

თუმცა, დანგირას მიკოლაიუნასი ასე არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ტარიფის ოდენობა დიდად იქნება დამოკიდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლებზე. **"თუ ამოღება ნორმალური იქნება, ტარიფი, შესაძლოა, შემცირდეს კიდეც,"** – ასეთია "თელასის" ახალი მმართველის დაპირება.

ასე რომ, "რაო ეეს როსსიი" მომავალ ზამთარს ძველი – სავალუტო ფონდის მიერ დაწუნებული დაბალი ტარიფით შეხვდება. ძნელი სათქმელია, რა სახსრებით ალადგენს დაზიანებულ მე-9 ენერგობლოკს რუსული ენერგოგიგანტი. დანგირას მიკოლაიუნასის შეფასებით, ამ ორი დღის წინ უცნობი ბოროტმოქმედების მიერ გაძარცულ ენერგოაგრეგატს, წესრიგში მოსაყვანად, 5 მილიონი დოლარი მაინც სჭირდება. მან საქართველოს ენერგეტიკის ეს უმნიშვნელოვანესი ობიექტი გუშინ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ მამუკა ნიკოლაიშვილთან ერთად მოინახულა.

**"ცუდია, რომ მაზუთის მილები გაიტაცეს და ბლოკი მაზუთზე აღარ მუშაობს – გაზის მოწოდებაში პრობლემების შექმნის შემთხვევაში, სარეზერვო ვარიანტი აღარ გვექნება,"** – წუხს "რაო ეეს როსსიის" ლიტველი ენერგოემისარი.

მისი თქმით, მომავალი ზამთრისათვის მზადება ბლოკზე უკვე მიმდინარეობს და სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. თუმცა, მისი გაშვების ვადა, ჯერჯერობით, არ კონკრეტდება. **"არ გვეგონა, თუ ბლოკზე ასეთი მძიმე მდგომარეობა დაგვხვდებოდა,** - განაცხადა მიკოლაიუნასმა, - **მიუხედავად ამისა, ჩვენ ბლოკს აუცილებლად მოვამზადებთ და ის ზამთარში გამართულად იმუშავებს."**

და ბოლოს, როგორც "თელასიდან" გვაცნობეს, გუშინ თბილისის ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ საბითუმო ბაზარს აგვისტოს თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური მთლიანად გაუსტუმრა, ხოლო უახლოეს დღეებში ბაზრის ხელმძღვანელობასთან შეხვედრასა და ურთიერთშედარების აქტებზე ხელის მოწერას გეგმავს. თუ მოლაპარაკებების პროცესში პრობლემები არ წარმოიშვა, ეს ნიშნავს, რომ საბითუმო ბაზრის მხრიდან "თელასს" ელექტრომომარაგებაში შეფერხებები აღარ ექნება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, მაინც.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** 31 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის წევრმა ბეჟან ხურციძემ სოფელ სალხინოში 28 წლის გურამ ხარბეიშვილი სცემა. ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად ხარბეიშვილს ქალა-ტვინის ტრავმა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა აქვს მიღებული. ვანის რაიონის პოლიციის უფროსის ბადრი დვალიშვილის თქმით, ამჟამად პოლიცია მოკვლეული მასალების საფუძველზე მომზადებულ დასკვნას ელის, რათა სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. როგორც პოლიციაში აცხადებენ, ბეჟან ხურციძე ხარბეიშვილისგან ვალის სახით 500 დოლარს ითხოვდა, თუმცა დაზარალებული პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში ვალის არსებობას უარყოფს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "თუ 9 სექტემბერს პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნამდე მთავრობა ბიუჯეტის სეკვესტრის დოკუმენტს უკან არ გაიწვევს, პარლამენტი იძულებული გახდება, უკვე განხილული ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტი კენჭისყრაზე დააყენოს," – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა. დეპუტატები ეჭვობენ, რომ თუ სეკვესტრის საკითხი პარლამენტში არ გადაიჭრება, შესაძლოა საკანონმდებლო ორგანომ მუშაობის განახლება და კვორუმის შეკრება ვერ შეძლოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისის ბიუჯეტი, აგვისტოს თვის მონაცემებით, ნახევარი მილიონი ლარით გაირღვა," – განაცხადა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა. მისივე ინფორმაციით, აგვისტოში თბილისის ბიუჯეტის 18 მილიონი ლარით შევსება იგეგმებოდა, თუმცა, საგადასახადო სამსახურების ცუდი მუშაობის შედეგად, ქალაქის ბიუჯეტს 527 ათასი ლარი დააკლდა. **მედია-ნიუსი**

# სახელისუფლებო "უღლის" ქვეშ

პირველი გვერდიდან




**"გოგო, ეგ არის ბურჯანაძე? სურათში და ტელევიზორში რო სხვანაირი ჩანს?"** - ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სახალხო თეატრის ნახევრად ბნელ დარბაზში შეკრებილი ხანდაზმული კახელი ქალბატონები და მათთან სტუმრად ჩაბრძანებულ პარლამენტის სპიკერს ეჭვით ათვალიერებდნენ.

**"ატომური ბომბი რომ ჩამოვარდნილიყო, ისეთ ზიანს ვერ მოგვაყენებდა, რაც ამ ხელისუფლებამ დაგვმართა,"** - შესჩივლეს ველისციხელებმა ნინო ბურჯანაძეს, როდესაც საბოლოოდ "დარწმუნდნენ", რომ ამჯერად არავინ ატყუებდათ და მათ წინაშე პარლამენტის "ნამდვილი" თავმჯდომარე იდგა. ამიტომაც, ხელისუფლებაზე ხელჩაქნეული საზოგადოება გულწრფელი აღტაცებით შეხვდა ბურჯანაძის განცხადებას, 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში უმრავლესობით თუ მოვედით, პირველ რიგში იმას გავაკეთებთ, რომ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთო.

კახეთში სტუმრობისას, პარლამენტის თავმჯდომარეს თან ჰქონდა პრობლემების უზარმაზარი ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეს აწუხებს: სასმელი წყლის დეფიციტი, მოუწესრიგებელი გზები, თვეობით გაუცემელი პენსია-ხელფასები, დაუსაქმებელი ახალგაზრდობა, რეგიონში ფალსიფიცირებული შხამ-ქიმიკატების შეტანა, რომელმაც მთლიანად გაანადგურა ვენახები... თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარეს ამ ჩამონათვალში ჩახედვა და მოუგვარებელ პრობლემებზე აქცენტის გაკეთება, ფაქტობრივად, არც დასჭირვებია: თავად მოსახლეობა საუბრობდა იმ დანაშაულებრივ გულგრილობაზე, რასაც ხელისუფლება თანამოქალაქეების მიმართ იჩენს.

**"ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს!"** - ნინო ბურჯანაძის ამ "შეთავაზებას" გურჯაანელები" მოწონებით კი ხვდებოდნენ, მაგრამ მის განხორციელებაში მაინც ეჭვი ეპარებოდათ.

**"უნდა წავიდეს, მაგრამ წავა რო? არ წავა!"** - შევარდნაძის პოლიტიკის "მარადიულობის" მითს კახეთში ჯერ კიდევ ღრმად აქვს ფესვები გადგმული.

**"ჩვენ მზად ვართ სერიოზული ბრძოლისთვის და გთხოვთ, თქვენც მხარში ამოგვიდგეთ. ის, რაც ქვეყანაში ხდება, აღარ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს",** - საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისკენ მოუწოდებდა პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ გურჯაანელ ამომრჩევლებს.

როდესაც ოპოზიცია ასე აქტიურობს, ცხადია, გულხელდაკრეფილი არც ხელისუფლებაა. მას, როგორც შეუძლია, ისე იცავს თავს. თუმცა, მისი ქმედება ხშირად სცილდება კანონის ფარგლებს: ნინო ბურჯანაძემ გურჯაანელებთან შეხვედრის დროსაც გაიხსენა ის ფაქტი, რომლის შესახებაც "24 საათი" გუშინ წერდა - ხობის გამგებლის მოადგილემ რკინა ჩაარტყა თავში ადამიანს, რომლის "დანაშაულიც" მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ქუჩაში ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო პლაკატს აკრავდა.

ხელისუფალთა მხრიდან თავხედობის ცინცხალი ამბავი ველისციხელებმა პარლამენტის თავმჯდომარეს თავად აუწყეს. როგორც ირკვევა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გამოუციათ "ბრძანება", რომლის თანახმადაც, მასწავლებლებს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მისვლა და დასწრება... ეკრძალებოდათ(?!).

როგორც აღვნიშნეთ, გურჯაანში დაწყებული "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო ტურნე გუშინ თბილისში საარჩევნო შტაბის გახსნით გაგრძელდა. კახეთიდან გამოყოლილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური შთაბეჭდილებები ნინო ბურჯანაძეს, ალბათ, ერთგვარად გაუნელა იმ გულთბილმა მიღებამ, რომელიც მას შტაბის წინ შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოუწყო.

თუმცა, ცოტა მოგვიანებით, როდესაც ღონისძიება უშუალოდ საარჩევნო შტაბში გაგრძელდა, ნათლად წარმოჩნდა, რომ განსხვავება დედაქალაქსა და პერიფერიებს შორის ძალიან პირობითია და ადამიანები ყველგან ერთ დღეში არიან: ველისციხეშიც და თბილისშიც ხალხი ერთმანეთს ეცილება, თავისი პირადი გასაჭირის შესახებ წერილობით ან ზეპირად აუწყოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მისგან რაიმე დახმარება (ხშირ შემთხვევაში, მატერიალური) მიიღოს. ამაზე სამწუხარო კი, ალბათ, ის არის, რომ იმედის უფრო დაბალი ან მაღალი "ინსტანცია" საქართველოში, დიდი ხანია, აღარ არსებობს.

# ცესკო სასამართლოს წინაშე წარდგება

პირველი გვერდიდან

(ტელეკომპანიები "რუსთავი 2", "მზე", "იმედი", "მე-9 არხი", "კავკასია", გაზეთები: "24 საათი", "რეზონანსი", "ახალი ვერსია", რადიო "მწვანე ტალღა" და "საქტელერადიო მაუწყებლობა") ამის გაკეთება მართლმსაჯულებას მიანდო. მასმედიის სახელით სარჩელი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა 28 აგვისტოს შეიტანეს და პროცესის დაწყება დღეისათვისაა დაგეგმილი.

**"ვეყრდნობით რა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის დებულებებს, მოვითხოვთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე შესაბამისი აქტი გამოცხადდეს ბათილად"**, - ნათქვამია სასამართლოში შეტანილ სარჩელში. ამგვარი მოთხოვნის წაყენების იურიდიულ საფუძველს კი მოსარჩელეები შემდეგ გარემოებებში ხედავენ: **"კანონი ცალსახად და გარკვევით ადგენს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ კანონქვემდებარე აქტების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და არ უნდა ადგენდეს კანონით დადგენილისაგან განსხვავებულ პროცედურას"**, - ვკითხულობთ სარჩელში. დადგენილების საკანონმდებლო საფუძვლად ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლზე მიუთითებს. თუმცა, მოსარჩელეები სარჩელში ამ მუხლის შესაბამისი პუნქტების მოყვანის შემდეგ ასკვნიან: **"აღნიშნული დადგენილება კანონსაწინააღმდეგოა და გამოცემულია კანონის მოთხოვნების დარღვევით"**.

გარდა საკანონმდებლო ლაფსუსებისა, სარჩელში სხვა დეტალებზეც არის გამახვილებული ყურადღება, კერძოდ: **"დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია იმაზე, რომ დაუშვებელია მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება. კანონის 73-ე მუხლში არსად ასეთი ტერმინოლოგია არ გვხვდება. კანონში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ შესაბამისი მასმედიის საშუალებები ვალდებულნი არიან, "დაიცვან შემდეგი პირობები". ვინმეს ეს უკანასკნელი მხოლოდ სიტყვების თამაში რომ არ ეგონოს, თავს უფლებას მივცემთ, მოპასუხე მხარეს შევახსენოთ, რომ დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა ერთმანეთისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ პირველი - შეზღუდვების დაწესების დროსაც კი, უფლებით აღჭურვილია, როცა მეორე - მუდმივად მხოლოდ აკრძალვასა და ქმედებების დაუშვებლობაზე საუბრობს. სწორედ ეს არის უმთავრესი პრინციპული განსხვავება კანონისა და დადგენილების ენას შორის"**. სწორედ ამ ტერმინოლოგიის საშუალებით ცდილობს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ამომრჩეველს ინფორმაციის მიღება აუკრძალოს, რაც, მოსარჩელეთა აზრით, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს უზენაეს კანონთან – კონსტიტუციასთან, კერძოდ - კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებთან. ამ მუხლებში ცალსახადაა გაცხადებული, რომ **"...ყველა ადამიანს აქვს სიტყვის თავისუფლება"** და რომ **"ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით"**, ასევე **"მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია; ცენზურა დაუშვებელია"**.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე, უახლოეს მომავალში გაირკვევა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოს მიერ ვერდიქტის გამოტანამდე დადგენილება თავად მოპასუხე მხარემ - ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმოს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ორი დღის წინ პრეზიდენტის მიერ ეუთო-ს წარდგინებით დანიშნული ცესკო-ს თავმჯდომარის პოზიცია იძლევა. ნანა დევდარიანის თქმით, პირველი, რაზეც იგი იზრუნებს, სწორედ ზემოთ ნახსენები დადგენილების გაუქმება გახლავთ. თუმცა, ახალი თავმჯდომარის ეს განცხადება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხოლოდ კმაყოფილებას იწვევს, ცესკო-სთან სასამართლო დავაზე უარის თქმას კი ისინი არ აპირებენ.

**"მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ თავმჯდომარეს ასეთი პროგრესული პოზიცია აქვს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად დაუჭერს მხარს მის ინიციატივას თავად ცესკო,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გიორგი ჩხეიძემ, **- არადა, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებას ხმათა ორი მესამედი სჭირდება, ანუ ათმა კაცმა უნდა დაუჭიროს მხარი დადგენილების გაუქმებას; ჩვენ ამის იმედად ვერ ვიქნებით. საინფორმაციო საშუალებებმა მოგვანიჭეს მანდატი და არასწორი იქნება, რომ ცესკოს გადაწყვეტილების მოლოდინში აღარ დავუჭიროთ მხარი სარჩელს. ვფიქრობ, რომ თავისუფალმა პრესამ თავისი სიტყვა უნდა თქვას და თუ ცესკო-ც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ეს, ცხადია, მისასალმებელი იქნება"**.


NESCAFÉ ნესკაფე

2003 წლის 1 სექტემბრის ნესკაფეს წამახალისებელი ლატარიის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| ფერადი ტელევიზორი | ქეთი შანიძე | 04979 |
| ფერადი ტელევიზორი | ლეილა ქუთიძია | 20317 |
| ფერადი ტელევიზორი | რობერტ ანდიაშვილი | 17104 |
| ფერადი ტელევიზორი | მარინა ვერულაშვილი | 06944 |
| ფერადი ტელევიზორი | ვასილ საყვარაშვილი | 08091 |
| ფერადი ტელევიზორი | სოსო უბირია | 13421 |
| ფერადი ტელევიზორი | ლელა კაკალაშვილი | 18821 |
| ფერადი ტელევიზორი | დალი ქუბლაშვილი | 10815 |
| ფერადი ტელევიზორი | ნარგიზა გოგაძე | 17899 |
| ფერადი ტელევიზორი | მამუკა გაგისონია | 16454 |
| მუსიკალური ცენტრი | ჯუმბერ მამულაშვილი | 17324 |
| მუსიკალური ცენტრი | ნინო შუბანიძე | 17956 |
| მუსიკალური ცენტრი | ბადრი ლომაძე | 08222 |
| მუსიკალური ცენტრი | ტარიელ კვაშილავა | 08833 |
| მუსიკალური ცენტრი | შორენა სიხარულიძე | 00327 |
| მუსიკალური ცენტრი | ნინო ქოლოკავა | 04740 |
| მუსიკალური ცენტრი | დიანა პეტრიაშვილი | 11619 |
| მუსიკალური ცენტრი | ნინო მიქავა | 09682 |
| მუსიკალური ცენტრი | ლეილა კახელი | 02897 |
| მუსიკალური ცენტრი | ნუგზარ ძავთარაძე | 01874 |
| მობილური ტელეფონი | ნუგზარ ნიჟარაძე | 02735 |
| მობილური ტელეფონი | არსენ მაზმანიანი | 19705 |
| მობილური ტელეფონი | ვახტანგ სარალიძე | 08058 |
| მობილური ტელეფონი | ზაქარია აბაშიძე | 05252 |
| მობილური ტელეფონი | ზურაბ ძველიძე | 08040 |
| მობილური ტელეფონი | მარინა არჩვაძე | 12391 |
| მობილური ტელეფონი | ირმა საგაშვილი | 09502 |
| მობილური ტელეფონი | ლევან ვრძელიშვილი | 18873 |
| მობილური ტელეფონი | დავით ბატიაშვილი | 16922 |
| მობილური ტელეფონი | მაია გვიშიაძე | 05156 |
| ფლეერი | ალბერტ ოგანეზოვი | 08315 |
| ფლეერი | მარინა ჯანდაურიშვილი | 17027 |
| ფლეერი | ლიკა ჩხეიძე | 12063 |
| ფლეერი | ნონა ტატიაშვილი | 04900 |
| ფლეერი | ქეთი შანიძე | 02960 |

ნესკაფეს ქილა 600 ცალი ■ ინდირა ჩხაიძე ■ 05310-დან 05909 ჩათვლით

ნესკაფეს მაისური 800 ცალი ■ ზურაბ კუპრაშვილი ■ 17468-დან 18267 ჩათვლით

პრიზების მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ იარაღლი აბაშიძის № 58 17.00 - 19.00 სთ შაბათ კვირის გარდა


# როგორ აღმოჩნდა მაია ნადირაძე "ნაციონალებში"

პირველი გვერდიდან

გუცაევი პირველი სპორტსმენი არ არის, ვინც სპორტული კარიერის პოლიტიკურით შეცვლა გადაწყვიტა. მსგავსი მაგალითები არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ როგორც წესი, ყოფილი სპორტსმენები დიდი პოლიტიკური აქტივობით ვერ დაიკვეხნიან. გუცაევი საკუთარ თავს ასეთ კატეგორიას არ აკუთვნებს და აცხადებს, რომ იგი **"მაქსიმალურად მოსინჯავს ძალებს სპორტთან დაკავშირებული საკითხების პარლამენტში განხილვისას. აგრეთვე, ქართულ-ოსური კონფლიქტის გადასაწყვეტად, ურთიერთობების მოსაგვარებლად"**. სხვათა შორის, გუცაევი შესაძლოა, "ნაციონალური მოძრაობისათვის ერთგვარ შუამავლადაც იქცეს სააკაშვილის გუნდში სხვა "ახალი სახეების", მათ შორის, ძველი სპორტსმენების მისაზიდად. თუ კი, რა თქმა უნდა, თავად სპორტსმენების ნება იქნა. მომავალ ნაციონალებად კი იგი ალექსანდრე ჩივაძეს, ოთარ გაბელიას, რამაზ შენგელიას და სხვებს გულისხმობს.

ნადირაძის ნაბიჯის გამო დაბნეულობას გუშინ "ტრადიციონალისტების" მეორე "მთავარი სახე" ალეკო შალამბერიძეც ვერ მალავდა. პარტიის ლიდერს კი ამ თემაზე საუბრის სურვილი საერთოდ გამქრალი ჰქონდა. შალამბერიძე ნადირაძის პარტიიდან წასვლის კონკრეტულ მოტივებზე არ საუბრობს, თუმცა, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, პარტიული ცვლილებების მიზეზი ნადირაძის ასათიანზე განაწყენება გახდა. როგორც ამბობენ, "დემოკრატებთან" გაერთიანებაზე მოსაუბრე პარტიის ლიდერმა პოტენციურ პარტნიორებს საკუთარი პარტიის სია წარუდგინა, ამ სიაში კი შალამბერიძე და ნადირაძე, რატომღაც, პირველ ოცეულში ძლივს მოხვდნენ... თავად შალამბერიძე ადასტურებს, რომ მსგავსმა ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ აცხადებს, რომ ამის მეტი არაფერი იცის. პარტიის ზოგი წევრის თქმით, ოპოზიციის დიდი გაერთიანების მოლოდინში ნადირაძემ ითმინა, ითმინა და არჩევანი თავად გააკეთა. არადა, მოლაპარაკებები ოპოზიციური გაერთიანების შესახებ "ტრადიციონალისტების" მხრიდან "დემოკრატებთან" კვლავაც მიმდინარეობს. როგორც პარტიის შიგნით ამბობენ, კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს "ნაციონალებთანაც." თუმცა, ნადირაძის გადაბირების შემდეგ სააკაშვილთან კონსულტაციები უფრო გაჭირდება. საბოლოო პასუხი კითხვაზე, თუ რა გზას და ვისთან ერთად უნდა დაადგნენ ამ წინასაარჩევნო პერიოდში "ტრდიციონალისტები", ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით ათი სექტემბრისთვის უნდა გაეცეს.

# დემოკრატობა საშიშია თქვენი ჯანმრთელობისთვის




გოკა გაბაშვილი ხობის ინციდენტზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს

გაერთიანებული დემოკრატების აქტივისტს ზორი გაბელიას ხობის რაიონის სოფელ ქალაღზე "ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო პლაკატის გაკვრა ხანჯლით მიუყენეს 16-ნაკერიანი ჭრილობა დაუყვეს. კვირას მომხდარი ეს ინციდენტი, რომელშიც თავდამსხმელის როლში გამგებლის მოადგილე და ხადირიძეს და გულადი ქურიძე მონაწილეობდნენ (დაზარალებულის მხარის ინფორმაციით), "ბოლო ხვეთი" აღმოჩნდა "დემოკრატებისთვის", რომელთა სახელით გუშინ პარტიის გენერალურმა მდივანმა გოკა გაბაშვილმა ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ პარტია გაჩუმებას აღარ აპირებს:

**"ჩვენ სპეციალური განცხადება არ გავაკეთეთ, როცა აქტიური ბრძოლა გაიშალა ჩვენი საარჩევნო პლაკატების წინააღმდეგ, როცა გამგეობების წარმომადგენლები დადიან და აფუჭებენ ნინო ბურჯანაძის გამოსახულებიან პლაკატებს... სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას სხვა საქმე აღარ აქვს. გუშინწინ ფიზიკური ანგარიშსწორება ხობში მოხდა. ეს არის პირდაპირი ტერორი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს ჩვენს წინააღმდეგ. ეს არის ბიძგი, რომ საარჩევნო პროცესები სისხლისღვრაში გადაიზარდოს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ხელი გვაქვს მოწერილი ეთიკის კოდექსზე, რომელითაც შევთანხმდით, რომ ერთმანეთის წინასაარჩევნო კამპანიას ხელს არ შევუშლით. ჩვენ ერთი მოწინააღმდეგე გვყავს, გაზულუქებული ხელისუფლების სახით,"** – განაცხადა გუშინ გოკა გაბაშვილმა და დასძინა, რომ პარტია ხობის ინციდენტის გამოძიებას და ზემოთ მოხსენიებული დამნაშავეების დასჯას კატეგორიულად მოითხოვს.

გოკა გაბაშვილმა გუშინ საზოგადოებას კიდევ ერთი სიახლე ამცნო: ორშაბათს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და იუსტიციის სამინისტროში, სახელწოდებით "ბურჯანაძე დემოკრატები", სარეგისტრაციოდ განაცხადი ახალმა პარტიამ შეიტანა.

**"შეიძლება ეს ინფორმაცია ღიმილისმომგვრელიც იყოს, მაგრამ ეს მეთოდი - ამომრჩევლის დაბნევის მიზნით მოწინააღმდეგისსახელიანი პარტიის შექმნა ბინძური წინასაარჩევნო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდთაგანია. მას იყენებდნენ უკრაინაში. ეს მეთოდი იყო გამოყენებული საქართველოშიც რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში, სადაც ძირითად კონკურენტს იგივე სახელის და გვარის მქონე პიროვნებას უპირისპირებდნენ.**

**ჩვენ მივმართავთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს, რომ არ აჰყვეს ხელისუფლებას ამ თამაშში და არ გაატაროს რეგისტრაციაში აღნიშნული პოლიტიკური პარტია,"** – განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

მანვე დააიმედა ამომრჩეველი, რომ თუ ხელისუფლების აღნიშნულ ქმედებას ზემოთ მოხსენიებული უწყებები არ გადაეღობნენ, ბურჯანაძისა და გაერთიანებული დემოკრატების ერთობა მაინც შეძლებს ამომრჩეველს თავი საარჩევნო ნომრით დაამახსოვროს.

*24 საათი*

# გროზნოს სამოთხე რუსული ინტერპრეტაციით



*ჩეჩნეთში დაბრუნებულ დევნილებს ილიასოვი მრავალ სიკეთეს ჰპირდება*

პირველი გვერდიდან

მაინც გამართლდა, მაშინ დევნილებს გროზნო, შესაძლოა, აშენებულიც დახვდეთ. ილიასოვი ამტკიცებს, რომ გროზნოში პირველ სექტემბერს სასკოლო მერხებს მოწაფეები უპრობლემოდ მიუსხდნენ, მუშაობა დაიწყო არა მხოლოდ ყველა სკოლამ, არამედ უმაღლესმა სასწავლებლებმაც. გროზნოში დაბრუნების მსურველ დევნილებს კი შიში ბევრი არაფრის უნდა ჰქონდეთ, რადგან რუსეთის ხელისუფლება მათ უსაფრთხოების გარანტიებს ჰპირდება. გარდა ამისა, საუბარია საომარ მოქმედებებში მონაწილეთა შეწყალებაზეც...

დევნილები სამშობლოში რუსეთის ხელისუფლების მიერ შერჩეული ტრანსპორტით უფასოდ დაბრუნდებიან, კონკრეტულად მითითებულ საცხოვრებელ ადგილებზე. უმუშევრები გროზნოში დახმარებას უკვე იღებენ. დახმარება დროულად ურიგდება, დაახლოებით, 400 ათას ბავშვს. სექტემბრიდან გროზნოს აღდგენის გეგმა უფრო სერიოზულად უნდა ამუშავდეს. სულ კომპენსაციის სახით ჩეჩენი დევნილებისათვის, ვინც სახლი დაკარგა, 5 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული. გარდა იმისა, რომ რუსეთში უკვე ჩეჩნეთის საკითხებზე მომუშავე რამდენიმე სხვადასხვა დონის კომისია არსებობს, კიდევ ერთ კომისიაში რუსეთის მხარე თავად ჩეჩნების ჩართვას აპირებს. ისინი თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნების უპირატესობაში დაარწმუნებენ. ეს კომისია, კვლავ მინისტრ ილიასოვის ხელმძღვანელობით, საქართველოს უკვე ერთი თვის შემდეგ ესტუმრება.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზეთი - სულის ქვეყანა

*აღნიშნული სტატია აფხაზური ინტერნეტ-საიტიდან* www.abkhaziya.ru *- დან გადმოვბეჭდეთ.*
*ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ვერ იპოვით საიტს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ. მსგავსი საიტის შექმნის ერთ-ერთი მცდელობა იმით დასრულდა, რომ აფხაზეთის შესახებ ვებ-გვერდი სულ მალე პორნო-საიტად იქცა. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს, რა ხდება ამ მხრივ აფხაზეთში.*

ვ. სტევინი

აფხაზეთის ომის დასრულებისთანავე აფხაზეთს არანაკლებ მძიმე პერიოდი დაუდგა. მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე საქართველომ სასტიკი და უპრეცედენტო ბრძოლა წამოიწყო ახალგაზრდა აფხაზური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბრძოლის იარაღად არჩეულ იქნა საინფორმაციო ბლოკადა.

"ცხელი ომის", რომელიც შემდეგ "ცივ ომში" გადაიზარდა, ერთ-ერთი ორგანიზატორი თამაზ ნადარეიშვილი ჯერ კიდევ 1993 წლის 13 მაისს ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: "ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა საagentო, ყველა მთავრობა, რომელიც ჩვენთან ურთიერთობს, აფხაზეთის მთავრობას გვიწოდებს. ადრე ასე იყო: რადგან აფხაზეთია, ესე იგი, მთავარია აფხაზები, ქართველები კი, უბრალოდ, დანამატია. არა, ჩვენ აფხაზეთის მთავრობა ვართ, ისინი კი გუდაუთელი ბანდიტები არიან. მათ ბანდიტებს არ ეძახიან, ახსენებენ, როგორც გუდაუთურ დაჯგუფებას. ყველამ იცოდეს, ნებისმიერ საერთაშორისო შეხვედრაზე თუ კონფერენციაზე აფხაზურ მხარეს წარმოვადგენთ ჩვენ და არა ის გუდაუთური დაჯგუფება."

ქართველი პოლიტტექნოლოგები და პროპაგანდისტები დაუღალავად თხზავდნენ მითებს აფხაზების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ. ქართული მხარე ყველანაირად შეეცადა, აფხაზეთის გარშემო გაურღვეველი ინფორმაციული ვაკუუმი შეექმნა. თბილისის პროპაგანდისტული მანქანა დარწმუნებული იყო საკუთარ დაუსჯელობაში, ამიტომ ყველანაირად შეეცადა, რომ აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო დაესამარებინა და კავკასიაში დესტაბილიზაციის მთავარ გამომწვევად აფხაზეთის მრავალეროვანი ხალხი დაესახელებინა. დამნაშავესაც კი აძლევენ სიტყვას სასამართლოში საკუთარი თავის დასაცავად – აფხაზებს არ ჰქონდათ "ხმის უფლება" არც გაერო-ში, არც ეუთო-ში.

გაზეთში "Республика Абхазия" 2001 წლის 23-24 ოქტომბერს გამოქვეყნდა სტატია სათაურით "ვირტუალური ომების ქრონიკა". სტატიაში აღნიშნულია, რომ ინტერნეტში მიმდინარეობს ომი, მართალია, ვირტუალური, მაგრამ რეალურზე არანაკლებ უკომპრომისო და დაუნდობელი.

აფხაზეთის მეგობრების მიერ შექმნილმა რამდენიმე საიტმა ბევრი რამ შეცვალა, გააკეთა იმდენი, რამდენიც ვერ შეძლეს ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა. ამ საიტების დახმარებით ათასობით ინტერნეტ-მომხმარებელმა ყურადღება მიაქცია აფხაზეთის პრობლემას. ინფორმაცია, რომელიც ამ საიტებზე დაგროვდა, წმინდა წყლის სიმართლე გახლდათ და სრულიად განსხვავდებოდა იმ ინფორმაციისაგან, რასაც "აფხაზეთის წარმომადგენლები დევნილობაში" ავრცელებდნენ. თანდათან ეს საკმაოდ პრიმიტიული საიტები აფხაზეთის შესახებ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციასთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებად იქცა. საიტებზე შეიქმნა თანამოაზრეთა კოლექტივი, დაიწყო აფხაზეთის შესახებ სხვადასხვა მასალისა და ინფორმაციის შეგროვება – აფხაზეთის ისტორიით დაწყებული და კულინარული რეცეპტებით დამთავრებული, ანალიტიკურ სტატიებამდე სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესახებ.

გაჩნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დანიშნულების საიტები, საიტები ტურიზმისა და დასვენების შესახებ, აფხაზეთის ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაზე. შეიქმნა შესანიშნავი ინტერნეტ-ალბომები, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ათასობით ფოტო აფხაზეთზე.

დღეს აფხაზეთის შესახებ დაახლოებით 50 საიტი გიამბობთ. აფსნიპრესის გარდა, რომელიც სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოა, ყველა დანარჩენი საიტი კერძოა, აფხაზთა მეგობრების მიერაა გაკეთებული.

დღესდღეობით ყველაზე მეტად პოპულარულია "ძველი" საიტი "აფხაზეთი – სულის ქვეყანა" ("Абхазия - страна души"). ეს საიტი სამი წელიწადია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მას ასი ათასზე მეტი ადამიანი ესტუმრა. მის ბაზაზე შეიქმნა სხვა პროფესიული საიტებიც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ შეიქმნა აფხაზური საიტების ვირტუალური თანამეგობრობა - "აფხაზეთის ინტერნეტ-ჯგუფები". ორი წლის განმავლობაში აფხაზური საიტების ვებ-ადმინისტრატორთა არაერთი შეხვედრა გაიმართა. ვირტუალური მეგობრობა რეალობად იქცა.

საიტების ადმინისტრატორები და ავტორები აფხაზეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან არა მარტო რეალურად დაუმეგობრდნენ ერთმანეთს, არამედ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტ ვ. არშბასაც შეხვდნენ.

შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე საინტერესო პროექტს. ერთ-ერთი ასეთია აფხაზეთის რესპუბლიკის ოფიციალური საიტის "აფხაზეთი. ინფო"-ს შექმნა. ამ შეხვედრაზევე გადაწყდა ინტერნეტ-კონფერენციების ჩატარება აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირებთან.

ჩნდება და მყარდება კავშირები სხვა "არაღიარებული" სახელმწიფოების საიტებთან. საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს ჩვენმა კოლეგებმა სამხრეთ ოსეთიდან – 2003 წელს ბიჭვინთაში ჩატარდეს ვებ-ადმინისტრატორებისა და ჟურნალისტების ერთობლივი სემინარი ("СНГ" – "Сайты Непризнанных Государств").

ასე რომ, "ცივი ომის საინფორმაციო ფრონტზე" სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. აფხაზეთის საინფორმაციო ბლოკადა გარღვეულია და მის ხელახლა შექმნას ვერავინ შეძლებს.

რა თქმა უნდა, ქართული მხარე გულგრილად ვერ უყურებს ამ პროცესებს. დღეს "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთათვის" მთავარი გამარჯვება კი არა, მთავარია მონაწილეობა! მათი მიზანია არა აფხაზეთის საინფორმაციო ბლოკადის აღდგენა (რაც გამორიცხულია), არამედ პროვოკაციები. ბლოკადის არარსებობის პირობებში, მარცხდება რა "საინფორმაციო ომში", ქართული მხარე ყველანაირად ცდილობს, აფხაზური საიტების მუშაობა შეაფერხოს და "საქმე აურიოს" ადმინისტრატორებსა და საიტის მომხმარებლებს. საამისოდ არ ერიდებიან მუქარას, შეურაცხყოფას, ცილისწამებას, უწმაწურ გამოთქმებს. არაერთხელ დაფიქსირებულა აფხაზური საიტების ფაშისტურ და ნაციონალისტურ კატალოგებში დარეგისტრირების უშედეგო მცდელობა, გვებრძვიან ათასგვარი ვირუსით და ტროიანებით და ა.შ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის! აფხაზური საიტები მუშაობენ, ვითარდებიან, დღითიდღე უფრო საინტერესო ხდებიან. მათთვის სპეციალურად იწერება სტატიები, მზადდება ფოტოალბომები. სულ უფრო და უფრო მეტი ინფორმაცია იყრის თავს ინტერნეტში პირდაპირ აფხაზეთიდან და არა დევნილობაში მყოფი ხელისუფლების საინფორმაციო-პროპაგანდისტული სისტემიდან. თანაც, ჩვენ საიტებზე განთავსებული ინფორმაცია არა მარტო პოლიტიკურია, აქ თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ აფხაზ მხატვართა გამოფენების შესახებ, გაეცნოთ აფხაზური თეატრების რეპერტუარს, გაიგოთ ბაზრის ფასები, შეიტყოთ ინფორმაცია ქორწილებისა და დაბადების დღეების შესახებ. თუ ადრე ჩვენი ლოზუნგი იყო "რაც შეიძლება მეტი საიტი", დღეს ჩვენი ლოზუნგი ასე ჟღერს: "რაც შეიძლება მეტი საუკეთესო საიტი".

## შიმშილობის ბედი დღეს გადაწყდება

ზაზა ფარჯიაშვილი

*"იმელის" წინ მიმდინარე შიმშილობის ორკვირიანი აქცია ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გრძელდება, სადაც გუშინ დარჩენილი რვა მოშიმშილეც გადაიყვანეს. მათ შორის შიმშილობას მხოლოდ რუზგენ გოგოხია აგრძელებს. სხვები სარეაბილიტაციო კურსს გადიან.*


ზაზა ფარჯიაშვილის ფოტო
რუზგენ გოგხია: "თუ საჭირო იქნება ორი თვეც ვიშიმშილებ"

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს სპეცგანყოფილების უფროსი მაიორი რუზგენ გოგოხია, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტში შევიდა და განაცხადა, თუ ლონდერ ცაავა და მისი მთავრობა არ გადადგება, ჩემი ხალხით შიმშილობას ვიწყებო.

თავდაპირველად ნადარეიშვილს, თითქოს, თანაგრძნობაც გამოუჩენია, მაგრამ 3-4 საათის შემდეგ უთქვამს, მაინც არაფერი გამოგივათ და განზრახვაზე ხელი აიღეთო. გოგოხიას და მის ხალხს ეს შეურაცხყოფად მიუღიათ და შიმშილობაც დაუწყიათ; თუმცა, ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნა არ წამოუყენებიათ.

ეს ერთი კვირის შემდეგ მოხდა, როცა თამაზ ნადარეიშვილმა მოშიმშილეების მოწოდებას, გვერდზე დაგვიდექიო, მათი საწინააღმდეგო განცხადებებით უპასუხა.

ამის შემდეგ სიტუაცია უფრო დაიძაბა და საქმე იქამდე მივიდა, რომ თამაზ ნადარეიშვილმა გოგოხიას პატიოსნება ეჭვქვეშ დააყენა. მას ჯერ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დასმული კაცი უწოდა, შემდეგ – შპიონი, მოღალატე ან რაღაც ამის მსგავსი, როცა განაცხადა, გასარკვევია, როგორ დააღწია გოგოხიამ თავი აფხაზების 4 წლიან ტყვეობასო.

ამ მოსაზრების პასუხად გოგოხია თავის ნაწამებ სხეულსაც გვაჩვენებს, სადაც ტყვეობის პერიოდში ცხელი შანთით სამი ჯვარიც ამოუწვავთ (ნატყვიარს ხომ კაცი ვერ დათვლის მის ტანზე) და გათავისუფლების ამბავსაც გვიყვება, რაშიც მას ავთანდილ იოსელიანის თხოვნით შამილ ბასაევი დახმარებია.

გოგოხიას ისიც უკვირს, თუ ნადარეიშვილი მართლა ასე ფიქრობდა, რატომ დანიშნა საეჭვო კაცი სპეცგანყოფილების უფროსად და რატომ წარადგინა იგი ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენზე.

გოგოხიას და მის თანამოშიმშილეებს გუშინ საავადმყოფოში ვესტუმრეთ. გოგოხიამ ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა და გვითხრა, რომ ყველაფერს ხვალ-ზეგ იტყვის, როცა საქმე უფრო გაირკვევა. ამიტომ, რამდენიმე კითხვით მის თანამოშიმშილეებს მივმართეთ.

**- თქვენ თავდაპირველად ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნა არ წამოგიყენებიათ და მისი მხარდაჭერის იმედიც გქონდათ, რატომ?**

- ნადარეიშვილი ყოველთვის ისეთ განცხადებებს აკეთებდა, რომ პატივისცემით ვეპყრობოდით, მეომრად და პარტიზანული მოძრაობის ლიდერად მიგვაჩნდა, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. მისთვისაც, თურმე, არჩევნებია მთავარი. მასაც პარლამენტში უნდა თავის შეფარება, რომ ხალხს გადაურჩეს. ხალხს ყველაფერი ყელში ამოუვიდა.

**- თქვენი მოთხოვნები ხომ არ შეცვლილა?**

- შიმშილობას მხოლოდ რუზგენ გოგოხია აგრძელებს (ჩვენ ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესებისა და რუზგენ გოგოხიას ბრძანების გამო შიმშილობა შევწყვიტეთ), მისი მოთხოვნები კი იგივეა. კარგად ვიცნობთ ამ კაცს. ჩვენ მასთან ერთად ვიბრძოდით ოჩამჩირის 244-ე ბატალიონში. ეგ უკან დამხევი არ არის და საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, კითხვა თავად რუზგენ გოგოხიას დავუსვით.

"ტყვეობის დროს ამაზე უარესად ვიყავი. შაბათ-კვირას საერთოდ არ მაჭმევდნენ და სხვა დღეებშიც – ერთხელ. მე ორი კვირა კი არა, თუ საჭირო იქნება ორი თვე ვიშიმშილებ," – გვითხრა რუზგენ გოგოხიამ, მაგრამ იმედია, რომ ასე არ მოხდება.

როგორც შევიტყვეთ, მოშიმშილეების ბედით გიორგი ყარყარაშვილი დაინტერესებულა და ამას გარკვეული შედეგი უკვე გამოულია. დარჩენილი მოშიმშილეები სწორედ მასთან მოლაპარაკების შემდეგ დათანხმებულან საავადმყოფოში გადაყვანაზე. ამის შესახებ კომენტარი თავად გიორგი ყარყარაშვილს ვთხოვეთ:

"მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ვთხოვე, შიმშილობა შეეწყვიტათ, ან უკიდურეს შემთხვევაში საავადმყოფოში გაეგრძელებინათ, სანამ ეს საკითხი გადაწყდებოდა და ასეც მოიქცნენ," – გვითხრა ბატონმა გიორგიმ.

"ყარყარაშვილი ჩვენი მინისტრი იყო და ახლაც ჩვენი მინისტრია," – აცხადებენ გოგოხიას მეომრები. თავად გოგოხია კი შიმშილობას განაგრძობს და ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელოდება.

მეცნიერის ტრიბუნა

## ეთნონიმების აფსუა-ს, აფხაზი-ს და აბაზგი-ს წარმომავლობისათვის

*სოხუმელი დევნილი კარლო ბარბაქაძე ფიზიკოსია, მაგრამ ენის ელემენტარულ თეორიაზე მუშაობს და ამის შესახებ წიგნიც აქვს გამოცემული. დღეს იგი გვთავაზობს ერთ საგულისხმო ნაწყვეტს საკუთარი ნაშრომიდან.*

ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური სახელი, ძირითადად, მათი შესაბამისი ქვეყნის სახელისგან მომდინარეობს (მაგალითად, კოლხიდა - კოლხი, თურქეთი - თურქი), ამიტომ თანამედროვე აფხაზების აფხაზური სახელი **აფსუა** აფხაზეთის აფხაზური სახელის **აფსნუი** – საგან (Апсны, რუსულად) უნდა მომდინარეობდეს:

**აფსნუი** – აფსუნი – აფსონი – აფსუანი – **აფსუა.**

ამ გარდაქმნის მეორე საფეხურში გამოყენებულია *მეტათეზისი;* მესამე საფეხურში - **უ** და **ო** *ბგერების ურთიერთმონაცვლეობა* (მაგალითად, კუკური - კოკორი); მეოთხე საფეხურში - **უა//ო** *შესატყვისობა;* მეხუთე საფეხურში კი - *მრავლობითობის* - **ნი** *სუფიქსზე შეკვეცა.*

ტოპონიმი **აფსნუი** *ვაჟი*-ს მნიშვნელობის აფხაზური სახელის **აფა**-სა და ეთნონიმ **სუანი**-ს (*სვანის*) შერწყმის შედეგად წარმოქმნილი სიტყვა უნდა იყოს:

**აფა სუანი** – აფასუანი – აფასანუი – **აფსნუი.**

ამ გარდაქმნის მესამე საფეხურში გამოყენებულია *მეტათეზისი*, მეოთხე საფეხურში კი - *სიტყვის* **ა** *ბგერაზე შეკვეცით გამარტივება.* ტოპონიმ **აფსნუი**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, *ვაჟი სვანი* ანუ *ჭაბუკი სვანი* იქნება, რომლისგან აფხაზური სიტყვა **სუან-იფა**-ც (*სვანიძე*-ს მნიშვნელობის სიტყვაა) მიიღება. ანალოგიურად, მამის მნიშვნელობის სვანური სახელის **მუ**-ს და ეთნონიმ **სუანი**-ს (*სვანის*) შერწყმით უნდა იყოს სვანების თვითდასახელება **მუშუანი** მიღებული.

**აფსუა** ხალხის წინაპრებად, ლიტერატურულ წყაროებში, **აფსარნი** მოიაზრება, რომლებიც აფხაზეთის მთის რეგიონში სახლობდნენ. ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით (I საუკუნე ძ.წ.ა.), დიოსკურიის (ახლანდელი სოხუმის) ზემოთ, მთებში, Σοάνεζ (სვანები) ცხოვრობდნენ (იხ. თინათინ ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი, 1957, გვ.260). ეს ფაქტი იმის მიმანიშნებელია, რომ **აფსარნი** სვანური წარმომავლობის ხალხი იყო, ზოგადი ეთნიკური სახელით **სუანი**. მართლაც, ეთნიკური სახელი **აფსარნი** სახელების **აფა**-სა და **სუანარი**-ს (*სვანების* მნიშვნელობის სვანური სახელის **სუანარი**-ს ანალოგია) შერწყმით უნდა იყოს მიღებული:

**აფა სუანარი** – აფასუანარი – აფსუანრი – აფსუარნი – აფსაარნი – **აფსარნი**.

ამ გარდაქმნის მესამე საფეხურში გამოყენებულია *სიტყვის* **ა** *ბგერაზე შეკვეცით გამარტივება;* მეოთხე საფეხურში - *მეტათეზისი;* მეხუთე საფეხურში - **ა** და **უ** *ბგერების ურთიერთმონაცვლეობა* (მაგალითად, მამა – მუმა (მეგრულად)); მეექვსე საფეხურში კი - ისევ *სიტყვის* **ა** *ბგერაზე შეკვეცით გამარტივება*. გარდაქმნის მეოთხე საფეხურისაგან **აფსუარნი**-საგან მრავლობითობის - **ნი** სუფიქსის მოკვეცით სახელი **აფსუარა** მიიღება, რომელიც *აფსუაობა*-ს ანუ *აფსუა ადამიანობა*-ს ნიშნავს აფხაზურად.

მოყვანილი მასალის მიხედვით *აფსუები* სვანური წარმომავლობის ხალხი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას კარგად ეხმიანება ნიკო მარის შემდეგი გამონათქვამი: "...абхазскій языкъ проявляетъ тесное родство съ сванскимъ ... "(Йб. Н. Марръ. Къ вопросу о положеніи абхазского языка среди яфетическихъ. С.-Петербургъ, 1912, с..43).

ეთნონიმი **აფხაზი** ტოპონიმ **აფხაზია**-საგან იქნება მიღებული, სახელი **აფხაზია** კი სახელების **აფა**-სა და **გრუზია**-ს შერწყმით უნდა იყოს მიღებული:

**აფა გრუზია** - აფაგრუზია - აფგრუაზია - აფგროზია - აფგრაზია - აფხრაზია – **აფხაზია**.

ამ გარდაქმნის მესამე საფეხურში გამოყენებულია *მეტათეზისი;* მეოთხე საფეხურში - **უა//ო** *შესატყვისობა;* მეხუთე საფეხურში - **ა** და **ო** *ბგერების ურთიერთმონაცვლეობა* (მაგალითად, ქათამი – ქოთომი (მეგრულად)); მეექვსე საფეხურში - **გ** და **ხ** *ბგერების ურთიერთმონაცვლეობა* (მაგალითად, αβασγοι - αβασχοι (აბაზგები, ბერძნულად)); მეშვიდე საფეხურში კი - *სიტყვის* **რ** *ბგერაზე შეკვეცა* (ეს ფაქტი ყველა ენაში დასტურდება). ტოპონიმ **აფხაზია**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, *ვაჟი გრუზია* ანუ *ჭაბუკი გრუზია* იქნება.

ეთნონიმი **აბაზგი** ტოპონიმ **აბაზგია**-საგან იქნება მიღებული, რომელიც აფხაზეთის ისტორიული ქართული სახელის **აბაზგეთი**-ს ბერძნულ სინონიმს წარმოადგენს. **აბაზგეთი**-ს (**აბაზგია**-ს) მოსახლეობა ქართულად **აბაზგები-**ს სახელით არის ცნობილი, ბერძნულად კი - αβασγοι-ის, αβασκοι-ის და αβασχοι-ის სახელებით. ტოპონიმი **აბაზგია** *მამა*-ს მნიშვნელობის აფხაზური სახელის **აბ**-ასა და ტოპონიმ **გრუზია**-ს შერწყმის შედეგად უნდა იყოს მიღებული:

ამ გარდაქმის მესამე საფეხურში გამოყენებულია **ა** და **უ** *ბგერების ურთიერთმონაცვლეობა;* მეოთხე საფეხურში - **რ** *ბგერაზე შეკვეცა;* მეხუთე საფეხურში კი - *მეტათეზისი.* ტოპონიმ **აბაზგიას** ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, *მამა გრუზია* იქნება.

ეთნიკური სახელების **აფსუა**-სა და **აფსარნი**-ს ადგილას, ძველ ისტორიულ წყაროებში, ეთნიკური სახელებში **აბსუა** და **აბსარნი** მოიხსენიება, რომლებიც მამის მნიშვნელობის აფხაზური სახელის **აბ**-ას ეთნიკურ სახელებთან **სუანი**-სთან და **სუანარი**-სთან შერწყმით იქნება მიღებული. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ტოპონიმების **აფხაზეთი**-ს და **აბაზგეთი**-ს შემთხვევაშიც. აფხაზეთის სამთავრო, ისტორიულ წყაროებში, VIII საუკუნემდე **აბაზგეთი**-ს სამთავროს სახელით იყო ცნობილი. VIII საუკუნეში მოხდა ქართული ქრისტიანული ეკლესიის დამკვიდრება აბაზგეთის ტერიტორიაზე, ამიტომ **ბ** ბგერის **ფ** ბგერით ჩანაცვლება, ზემოთ მოყვანილ სახელებში, რელიგიური თვალსაზრისით მამა ღმერთიდან ვაჟიშვილ ღმერთისკენ შემობრუნებას ანუ აბაზგეთში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებას უნდა ასახავდეს.

ეთნონიმების **აფსუა**-სა და **აფხაზი**-ს ეტიმოლოგიის უფრო ღრმა მეცნიერული ანალიზის გაცნობა შესაძლებელია წიგნში: *კარლო ბარბაქაძე. ენის ელემენტური თეორია. თბილისი 2003 წ.*

ფოტოკონკურსი


საკონკურსო ფოტო N5

ანონსი

**ფოტოკონკურსი**
რუბრიკაში "ფოტოკონკურსი" გამოქვეყნდება აფხაზეთის თემაზე შექმნილი საინტერესო ფოტომასალა, რომელსაც თქვენგან, მკითხველისგან ველით. წლის ბოლოს მოეწყობა მკითხველისავე შეფასებით გამოვლენილი საუკეთესო ფოტოების გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება.

**სამახსოვრო ისტორიები**
რუბრიკა "სამახსოვრო ისტორიები" უმასპინძლებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომელსაც აფხაზეთთან და აფხაზებთან კარგი მოგონებები აკავშირებს.

**კითხვა - პასუხი**
რუბრიკაში "კითხვა-პასუხი" გამოქვეყნდება იურიდიული და სოციალური კონსულტაცია დევნილთა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე.

**რეიტინგი**
რუბრიკა "რეიტინგი" ელის თქვენ შეხედულებებს: ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი აფხაზეთის საკითხში, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და თქვენი სამი შეკითხვა მოწვეული რესპონდენტისადმი.

მისამართი:
ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული, გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24, იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი" ფაქსი: 20-24-25
YOURABKHAZIA.RUSTAVI2.COM

ორი სიტყვით

### პარტნიორების ძიება

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დევნილობაში თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც ამავე დროს "აფხაზეთის გათავისუფლების პარტიის" ლიდერია, აცხადებს, რომ რამდენიმე დღეში დაასახელებს პოლიტიკურ ძალას, რომელთანაც მონაწილეობას მიიღებს 2 ნოემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში. **ინტერ-პრესი**

### დევნილთა ყრილობა

ენგურის დევნილთა საპროტესტო აქციის საორგანიზაციო შტაბი სექტემბრის დასაწყისში თბილისში დევნილთა ფართომასშტაბიანი ყრილობის გამართვას აპირებს. ყრილობის დასაფინანსებლად ამჟამად ისინი კონსულტაციებს მართავენ ოპოზიციურ პარტიებთან. **მედია-ნიუსი**

### ეშბას პროტესტი

სოხუმის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ პროტესტი გამოთქვა 25-26 აგვისტოს ფოთში სამხედრო სწავლების "იმედი 2003"-ის ჩატარების გამო და ეს ფაქტი "აფხაზეთთან ომისთვის მზადების დასტურად" შეაფასა.

ეშბას განცხადებით, ქართულ მხარეს, დასავლეთის ქვეყნებისა და აშშ-ის დახმარებით, თავისი შეიარაღებული ძალები მზადყოფნაში მოჰყავს, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველო აუცილებლად დაიწყებს ომს აფხაზეთის წინააღმდეგ.

ეშბამ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, "ყურადღება მიაქციოს" ქართული მხარის შეიარაღებაში არსენალის ზრდას, რაც, მისი შეფასებით, "არღვევს ბალანსს სამხრეთ კავკასიაში". **ინტერ-პრესი**

### არსენალი რუსეთიდან

სარწმუნო წყაროს ცნობით, აფხაზური მხარე რუსეთიდან პერმანენტულად იღებს იარაღს. ეს არის დიდი ოდენობით ახალი ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი. ამის გარდა, აფხაზურ მხარეს იარაღი გადასცეს რუსეთის სამშვიდობო ძალებმაც, რომლებმაც თავისი ტექნიკის ნაწილი ჩამოწერეს. **ინტერ-პრესი**

### საერთო საქმე

კოდორში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ აფხაზეთის მხარე მზადაა, ქართველ მესანგრეებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ხეობის ტერიტორიის განაღმვაში.

კვიციანის ინფორმაციით, ხეობაში ბოლო დროს ნაღმზე სამი ადამიანი აფეთქდა. მისივე თქმით, პირველ ეტაპზე განაღმვითი სამუშაოები მარუხის უღელტეხილზე დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

### პროვინციალიზმი

გალის რაიონში მოქმედი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრებმა უარი განუცხადეს სოხუმის ხელისუფლებას, მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაში. მიზეზი ის არის, რომ სოხუმის ხელისუფლებამ მოითხოვა, ანსამბლის რეპერტუარიდან ამოიღონ ქართული სიმღერები და ცეკვები. **ინტერ-პრესი**

### კანონი კანონია

აფხაზეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაგეგმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიმბოლური გადაკვეთა, მაგრამ რუსმა მესაზღვრეებმა აქციის მონაწილეებს დამხურცის უღელტეხილის გადალახვის საშუალება არ მისცეს.

მოტივი: რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ საკონტროლო გამშვებ პუნქტ "ფსოუზე" შეიძლებაო. **ინტერ-პრესი**

### აბაშიძის ბრალდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ასლან აბაშიძე ხელისუფლებას კონფლიქტების შეგნებულად გაჩაღებაში სდებს ბრალს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სააგენტო "აფსნიპრესი" იტყობინება, რომ 1 სექტემბერს აფხაზეთის ყველა სკოლაში საზეიმოდ აღნიშნეს "ცოდნის დღესასწაული". 2507 პირველკლასელი მიუჯდა სასკოლო მერხს.

აფხაზეთში დღეს 171 სკოლაა, 50 – ქალაქში, 121 – სოფლებში. სულ აფხაზეთში 63 აფხაზური, 51 რუსული, 39 სომხური, 17 აფხაზურ-რუსული და ერთი რუსულ-სომხური სკოლაა. **აფსნიპრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით სოხუმში რუსულ-აფხაზური კონსულტაციები შედგა. რუსულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა პუტინის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ვალერი ლოშჩინინი. აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ არძინბას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. "შესამჩნევი წინსვლის მიუხედავად, საჭიროა, კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ძირითად საკითხებს: ენგურჰესს და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. რაც შეეხება დევნილებს, აფხაზმა მეგობრებმა მითხრეს, რომ ეს საკითხი უკვე თითქმის გადაწყვეტილია – გალის რაიონს დაუბრუნდა დევნილთა დიდი ნაწილი. ამ ინფორმაციას ადასტურებს გაეროც," – აღნიშნა ლოშჩინინმა.

მიმდინარე პროცესებით კმაყოფილია რაულ ხაჯიმბაც, რომელიც აცხადებს, რომ სოჭის შეთანხმება რეალურად სრულდება. **აფსნიპრესი**

# პრინცი აბდულას მოსკოვში ვიზიტის დეტალები

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ოფიციალური ვიზიტით რუსეთის ფედერაციის დედაქალაქს ეწვია საუდის არაბეთის პრინცი აბდულა. მას შემდეგ, რაც 1926 წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ეს ასეთი დონის პირველი ვიზიტია.

საუდის არაბეთის პრინცი, რომელიც სამშობლოში სამეფო ტახტის პირველ მემკვიდრედ ითვლება, ვიზიტის ფარგლებში შეხვდება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, პრემიერ-მინისტრს მიხაილ კასიანოვს, მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს, მუსულმანური და მართლმადიდებელი სასულიერო სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

ვიზიტის დროს დაგეგმილია ორ სახელმწიფოს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ნავთობისა და გაზის მრეწველობა, ინვესტიციები და თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს თქმით, მოსკოვში პრინც აბდულას ვიზიტი ემთხვევა საუდის არაბეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების რადიკალურად გაუმჯობესების პროცესის დაწყებას. ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირებისა და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით ორივე ქვეყანაა დაინტერესებული.

ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს ნავთობი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ნავთობკომპანიებს ახლო აღმოსავლეთში არცთუ უმნიშვნელო ინტერესები გააჩნია და საკმაოდ ანგარიშგასაწევ პოზიციებსაც ფლობს, საუდის არაბეთი რუსეთისათვის მაინც გამოუკვლეველ და აუთვისებელ ქვეყნად რჩება; შესაბამისად, ინტერესიც ძალიან დიდია.

რუსეთში უკვე ძლიერდება მოსაზრება, რომ მოსკოვმა საკუთარი ინტერესებისათვის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ერ-რიადსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების დაძაბვის მომენტი და საუდის არაბეთში საკუთარი გავლენის გაძლიერებას შეუწყოს ხელი.

რუსეთს, სავაჭრო და საინვესტიციო პროექტების გარდა, საუდის არაბეთის მხარდაჭერა ისეთ საკითხშიც ესაჭიროება, როგორიც ისლამის კონფედერაციის ორგანიზაციაში გაწევრიანებაა. პრეზიდენტმა პუტინმა რამდენიმე ხნის წინ ღიად დააფიქსირა ეს სურვილი და ამ ეტაპზე ორგანიზაციაში დამკვირვებლის, ხოლო მოგვიანებით კი მუდმივი წევრის სტატუსი მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ პუტინის ამ მისწრაფებას საკმაოდ პრაგმატული საფუძველი გააჩნია. კერძოდ, რუსეთში 20 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით კრემლი ისლამისტი რადიკალებისგან მომდინარე საფრთხის შემცირებას ისახავს მიზნად. რუსეთს საუდის არაბეთის თანადგომა განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული პროცესების დარეგულირებაში ესაჭიროება.

საუდის არაბეთსა და რუსეთს შორის ერთი და საკმაოდ დიდი "განხეთქილების ვაშლიც" არსებობს, რომელსაც ჩეჩნეთი ჰქვია. მოსკოვს არაერთხელ დაუფიქსირებია, რომ ჩეჩენი მებრძოლების უკან სწორედ საუდის კაპიტალი დგას და ჩეჩენი ამბოხებულები საუდის არაბეთიდან, საქველმოქმედო ორგანიზაციების გავლით, ფინანსდებიან. ამდენად, პრინც აბდულას და პუტინის შეხვედრის დროს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი რომ ჩეჩნეთი იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს. გარდა ამისა, მხარეები ახლო აღმოსავლეთის და, კერძოდ, ერაყის საკითხებსაც განიხილავენ. მოსკოვში პრინცი აბდულას ვიზიტი ხვალ დასრულდება.



საუდის არაბეთის პრინცი აბდულა მოსკოვის აეროპორტში

# ერაყის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია

პირველი გვერდიდან

თემას წარმოადგენდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ სილვიო ბერლუსკონი და ვლადიმირ პუტინი იტალიელი პრემიერის სარდინიის ვილიდან დაუკავშირდნენ თავიანთ ამერიკელ კოლეგას. **"გაერო-ში ერთად ვმუშაობთ ერაყის კეთილდღეობისთვის,"** - განუცხადეს იტალიელმა და რუსმა ლიდერებმა ჯორჯ ბუშს, რომელიც შვებულებიდან ახალი დაბრუნებული და, შესაბამისად, დასვენებულია.

როგორც ირკვევა, საერთაშორისო დონეზე წარმართული აქტიური დიპლომატიური მუშაობა თავის შედეგს გამოიღებს. კერძოდ, მოსალოდნელია, რომ ერაყში კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას საფრანგეთის და გერმანიის ლიდერებიც დათანხმდნენ. როგორც ცნობილია, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ერთ პოზიციაზე იდგნენ და ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ. მაგრამ, სადამი უკვე დამხობილია, ამ ქვეყნებს კი ერაყში საკუთარი სტრატეგიულ-ეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ. თუკი, მათი ნების წინააღმდეგ, ვაშინგტონმა და ლონდონმა მაინც დაიწყეს ომი და სადამის ხელისუფლებაც ორ კვირაში დაამხეს, რატომ ვერ მიაღწევენ ისინი ერაყში საერთაშორისო სამხედრო ძალების განლაგებას გერმანიისა და საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე? მართალია, ეს კვლავ გაერო-ს სანქციის გარეშე მოხდება, მაგრამ ეს თეთრი სახლისათვის ბევრს არაფერს ნიშნავს - წესი ხომ ერთხელ უკვე დაირღვა. ალბათ, საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მთავრობებმა სწორედ ეს მომენტები გაითვალისწინეს. თუმცა საბოლოო თანხმობა, ვლადიმირ პუტინის მსგავსად, შრიოდერს და შირაკს არ განუცხადებიათ.

სამაგიეროდ, გარკვეულ სიგნალებს იძლევა თავად რეზოლუციის თანაავტორის -დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება. **"ბოლო ორი კვირის განმავლობაში აშშ-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან ერთად ვმუშაობდი ახალი რეზოლუციის პროექტზე, რომელმაც უნდა გაამყაროს ერაყში გაერო-ს მანდატი და ასევე სამხედრო ძალების ყოფნა,"** - განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ. მან ცხადი გახადა ლონდონის და ვაშინგტონის მიზნები. მისი თქმით, რეზოლუციის პროექტის თანახმად, ერაყში სამხედრო ძალების სარდლობა კვლავ ამერიკელებისა და ბრიტანელების ხელში უნდა დარჩეს. **"არავინ ითხოვს, რომ ერაყში "ცისფერი ჩაფხუტები" განლაგდნენ,"** - განმარტა ჯეკ სტროუმ.

ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. აშშ ერაყში ლიდერობის დათმობას არავისთვის აპირებს, თანაც პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილება სურს. დათანხმდებიან თუ არა ამას საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მთავრობები? ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერაყში საერთაშორისო ძალების განთავსებას გაერო უხელმძღვანელებს და სხვადასხვა ქვეყნების ჯარისკაცები "ცისფერ ჩაფხუტებს" დაიხურავენ. მართალია, ჯერ გაერო-ს უშიშროების საბჭოში რეზოლუცია არ დამტკიცებულა, მაგრამ ვაშინგტონის დანარჩენმა მოკავშირეებმა აშშ-ის სარდლობის ქვეშ თავიანთი სამხედრო ძალების ერაყში გაგზავნის სურვილი უკვე გამოთქვეს.


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 25 - 31 აგვისტოს პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 39 222,0 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 6 657.2 ათასი ლარი:**

- **დისკონტი - 682.3 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 5 878.1 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 96.8 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 29 348.9 ათასი ლარი;**

**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება 5 454.7 ათასი ლარი; (მ.შ. თანხმად "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკული სექტორის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ასიგნებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 აგვისტოს N1067 განკარგულებისა 3 900.0 ათასი ლარი);**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების ივლისის თვის შრომის ანაზღაურება - 7 300.5 ათასი ლარი;**

- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2 792.3 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 1 642.0 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 165.5 ათასი ლარი;
- საქართველოს პროკურატურა - 449.4 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო (ქ. ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალები) - 21.3 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 556.4 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 321.3 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 235.7 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 116.6 ათასი ლარი;

**სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის სუბსიდია (ავტობაზის მუშაკთა შრომის ანაზღაურება) - 18.0 ათასი ლარი;**

**თავდაცვის სამინისტრო - (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა - აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება) - 2 104.0 ათასი ლარი (მ.შ. ქ. ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალები - 42.0 ათასი ლარი);**

**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება) - 457.4 ათასი ლარი;**

**აგვისტოს თვის სოციალური ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს - 3 477.0 ათასი ლარი;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 3 556.0 ათასი ლარი;**

- ლტოლვილთა აგვისტოს თვის შემწეობა - 3 260.0 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში - 296.0 ათასი ლარი;

**ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს - 4 080.0 ათასი ლარი;**

- საპენსიო ტრანსფერი - 3 000.0 ათასი ლარი;
- ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები - 930.0 ათასი ლარი;
- მიგრანტთა სოცილაური და სამოქალაქო რეაბილიტაციის პროგრამა - 150.0 ათასი ლარი;

**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 904.4 ათასი ლარი;**

მ.შ. საქართველოს სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის მომსახურეობის (კავშირგაბმულობის) საფასურის ანაზღაურების ხარჯები - 450.0 ათასი ლარი;

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის პროგრამები) - 892.3 ათასი ლარი;**

**ახალგაზრდობის სახქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის სუბსიდია (განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიების და გრანტების მინიჭების პროგრამა) - 2.1 ათასი ლარი;**

**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 1 060.1 ათასი ლარი;**

- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამასხური (საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 10 აგვისტოს N933 განკარგულების თანახმად, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხარჯების დაფინანსება) - 34.6 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამასხური (საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 24 ივნისის N768 განკარგულების თანახმად სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალიზებული ღონისძიებების ხარჯები) - 25.5 ათასი ლარი;
- ტრანსფერი ქ. თბილისის მერიას (თანახმად "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკული სექტორის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ასიგნებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 აგვისტოს N1067 განკარგულებისა, ს.ს. "თბილგაზი"-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანების ნაწილობრივი დაფარვისათვის) - 1 000.0 ათასი ლარი;

**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 42.4 ათასი ლარი;**

- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (მივლინება) - 21.0 ათასი ლარი;
- სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი - 12.0 ათასი ლარი;
- ეროვნული უშიშროების საბჭო (მივლინება) - 9.4 ათასი ლარი;

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 3 215.9 ათასი ლარი;**

**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 1 576.3 ათასი ლარი;**

- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 958.4 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი - 74.0 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 72.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 53.9 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 48.5 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 46.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 30.0 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია (ფიზიკის ინსტიტუტი - დაცვის ხარჯები) - 11.3 ათასი ლარი;
- საბიუჯეტო ორგანიზაციები - 282.2 ათასი ლარი;

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამული ხარჯები - 220.0 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 1 003.6 ათასი ლარი;**

**სამივლინებო ხარჯები - 7.0 ათასი ლარი;**

- საქართველოს პროკურატურა - 3.0 ათასი ლარი:
- საკონსტიტუციო სასამართლო - 2.5 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო - 1.5 ათასი ლარი:

**საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირებისათვის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადაერიცხა 409.0 ათასი ლარი;**

**სულ ხარჯი: 39 222.0 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 6 657.2 ათასი ლარი:**

- **დისკონტი - 682.3 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 5 878.1 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 96.8 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 29 348.9 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 3 215.9 ათასი ლარი;**

- **სხვა საქონელი და მომსახურება - 2 799.9 ათასი ლარი;**
- **სამივლინებო ხარჯები - 7.0 ათასი ლარი;**
- **სუბსიდია - 409.0 ათასი ლარი;**

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1

ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge


# ყურადღება: ასტეროიდი

ამერიკელმა ასტრონომებმა კოსმოსში აღმოაჩინეს ასტეროიდი, რომელიც დედამიწას შესაძლოა, 2014 წლის 21 მარტს დაეჯახოს. თუმცა, ამის შესაძლებლობა 909 000 შანსიდან მხოლოდ ერთია. ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების საფრთხის რეალურობა ახალი მონაცემების მიღების და ანალიზის შემდეგ გაირკვევა.

მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე მცირეა, ასტეროიდზე დაკვირვება ყურადღებით უნდა გაგრძელდეს. წინასწარი მონაცემებით, ასტეროიდის ზომა დაახლოებით ერთ კილომეტრს შეადგენს და ის წამში 35 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. ასტრონომების განცხადებით, 65 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე ჩამოვარდნილი ასტეროიდი, რომელმაც დინოზავრების ეპოქა დაასრულა, ამჟამინდელ კოსმოსურ სხეულს, დაახლოებით, ათჯერ აღემატებოდა. **"თეორიულად ასეთი ზომის ასტეროიდს მთელი კონტინენტის დანგრევა შეუძლია,"** - აცხადებს ასტრონომი კრისტინა მაკგურტი.

მეცნიერებმა ასტეროიდს სახელიც კი დაარქვეს. რიგითობის მიხედვით მას "2003 QQ 47" ეწოდა. ასტრონომები მასზე დაკვირვებას და შესწავლას უახლოესი ორი თვის განმავლობაში გააგრძელებენ.

# ლიბერიელები ნიგერიის პრეზიდენტს ზეიმით შეხვდნენ

ათიათასობით ლიბერიელი ნიგერიის პრეზიდენტს ოლუსეგუნ ობასანჯოს ზეიმით შეხვდა, როდესაც იგი ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში ქვეყნის ახალ ლიდერთან მოლაპარაკებების გასამართად ჩავიდა.

ხალხი ერთხმად გაჰყვიროდა: "მადლობა, ობასანჯო!", "ჩვენ მშვიდობა გვინდა – უარი ომს!"

ნიგერიის პრეზიდენტის ერთდღიანი ვიზიტი ლიბერიაში განლაგებული 1500 ნიგერიელი მშვიდობისმყოფელის მონახულებით დაიწყო. ობასანჯომ ყველა პოლიტიკურ ძალას ლიბერიაში სტაბილურობის დამყარებისაკენ მოუწოდა.

სწორედ ნიგერიის პრეზიდენტმა ობასანჯომ შეძლო ლიბერიის პირსისხლიანი პრეზიდენტის ჩარლზ ტეილორის დარწმუნება, ქვეყანა დაეტოვებინა. ლიბერიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის შესაჩერებლად და სტაბილურობის დასამყარებლად ნიგერიამ 1500 მშვიდობისმყოფელი გააგზავნა.

ობასანჯომ კიდევ ერთხელ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მეტი მშვიდობისმყოფელი გაგზავნონ ლიბერიაში. "თუ ლიბერიაში არ იქნება მშვიდობა, არ იქნება მშვიდობა დასავლეთ აფრიკაში; თუ არ იქნება მშვიდობა დასავლეთ აფრიკაში, მაშინ არ იქნება მშვიდობა მთელ აფრიკაში", - განაცხადა ნიგერიის პრეზიდენტმა.

"დარწმუნებული ვარ, რომ თუ არ იქნება მშვიდობა აფრიკაში, არ იქნება მშვიდობა მსოფლიოში", - აღნიშნა ობასანჯომ.

# ყარაჩაი-ჩერქეზეთს შესაძლოა, ბანკირმა უხელმძღვანელოს

გუშინ ცნობილი გახდა ყარაჩაი-ჩერქეზეთში კვირას ჩატარებული არჩევნების შედეგები. წინასწარი მონაცემებით, პირველ ადგილზე რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, 53 წლის მუსტაფა ბატდიევი იმყოფება. მას ამომრჩეველთა ხმების 48 პროცენტი აქვს მიღებული. ბატდიევს ორი პროცენტით ჩამორჩება ამჟამინდელი პრეზიდენტი, გენერალი ვლადიმირ სემიონოვი. მას, ჯერჯერობით, ამომრჩეველთა 46 პროცენტი უჭერს მხარს. არჩევნებში სულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 67 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

ეს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იყო. ბატდიევმა ამჟამინდელ პრეზიდენტს პირველ ტურშიც აჯობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატდიევი 2000 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში ვლადიმირ პუტინის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა, მოსკოვმა თავიდანვე ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

როგორც ცნობილია, ყარაჩაი-ჩერქეზეთი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ურთულეს რესპუბლიკას წარმოადგენს. წინა არჩევნების დროს რესპუბლიკა სამოქალაქო ომის პირას აღმოჩნდა, როდესაც ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს შორის დაპირისპირებამ კინაღამ შეიარაღებული კონფლიქტის სახე მიიღო. თუმცა, არჩევნებში გამარჯვებულმა გენერალმა სემიონოვმა, რომელიც მანამდე რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარებს სარდლობდა, ქვეყანაში წესრიგის და შედარებითი სტაბილურობის დამყარება შეძლო.

რაც შეეხება მის ამჟამინდელ პრეტენდენტს და ფავორიტს ბანკირ ბატდიევს, მან თავისი საარჩევნო პროგრამა სემიონოვის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკაზე ააგო და მოსახლეობას ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ჰპირდება. როგორც ჩანს, მისმა დაპირებებმა საკმაოდ კარგად იმუშავა და მოსახლეობის უმრავლესობამაც ბატდიევს დაუჭირა მხარი. თუმცა, ჯერჯერობით, ეს საბოლოო შედეგები არ არის. არჩევნებში გამარჯვებულის ვინაობა დღეს გაირკვევა, როდესაც საარჩევნო კომისია ოფიციალურ შედეგებს გამოაქვეყნებს.

# ჩინელები აშშ-ს დაბრკოლებად მიიჩნევენ

ავტორიტეტული ამერიკული გაზეთის "ნიუ-იორკ თაიმსის" ინფორმაციით, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვან იმ, რომელიც ჩრდილოეთ კორეასთან გამართულ ექვსმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ კორეის ბირთვული კრიზისის დიპლომატიური დარეგულირების პროცესში შეერთებული შტატები "მთავარ პრობლემას" წარმოადგენს. ვან იმ, ფაქტობრივად, დაადასტურა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადება, რომლის თანახმად, მოლაპარაკებების ჩაშლა ვაშინგტონის ბრალია.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნული განცხადება მანილაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც ის საერთაშორისო კონფერენციაში იღებს მონაწილეობას. თუმცა, მიმომხილველებისათვის გაურკვეველი დარჩა, ვან ი საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას გამოხატავდა, თუ - არა. ჩინეთი ცდილობს, ჩრდილოეთ კორეის კრიზისის დიპლომატიურ მოგვარებას შეუწყოს ხელი და ამის გამო დღემდე ნეიტრალური პოზიცია ეჭირა.

ზოგიერთების აზრით, აღნიშნული განცხადება შეერთებული შტატების იმედგაცრუებას გამოხატავს. პეკინი შეშფოთებულია იმით, რომ მოლაპარაკებების მსვლელობისას შეერთებული შტატები არანაირ დათმობაზე არ წასულა.

ბუშის ადმინისტრაციამ ხაზგასმით განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეამ საკუთარი ბირთვული პროგრამა უნდა უპირობოდ შეწყვიტოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკებები რაიმე სახის დახმარებაზე, რომელიც ფხენიანმა შესაძლოა, დასავლეთიდან მიიღოს. თავის მხრივ, ჩრდილოეთ კორეა აცხადებს, რომ მზად არის ბირთვული პროგრამები შეაჩეროს იმ პირობით, თუ შეერთებული შტატები ფხენიანთან თავდაუსხმელობის პაქტს გააფორმებს.

ვანის აზრით, მოლაპარაკებების შემდგომ რაუნდზე მონაწილეებმა შეერთებული შტატები უნდა აიძულონ, რომ ჩრდილოეთ კორეის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები გაითვალისწინოს.

"ჩვენ გვსურს, რომ ამერიკის პოზიცია ნათელი იყოს", - განაცხადა ვანმა. "მე მჯერა, რომ თუ ჩვენ მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ, მეტ საერთოს მოვძებნით".

პარასკევს ჩინეთმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის, აშშ-ის, სამხრეთ კორეის, იაპონიისა და რუსეთის მოლაპარაკებები უახლოესი ორი თვის განმავლობაში გაიმართება. ფხენიანმა კი დაუყოვნებლივ უპასუხა, რომ მოლაპარაკებების გაგრძელებაში აზრს ვერ ხედავს.

ზოგიერთმა ეს ჩინეთის საჯარო შეურაცხყოფად მიიჩნია; თუმცა, ანალიტიკოსების ერთი ნაწილის აზრით, ეს ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებების ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია.

ვანის კომენტარებს ჩრდილოეთ კორეაში სასწრაფოდ გამოეხმაურნენ და ცოტა ხნის წინ გავრცელებული განცხადება უარყვეს, რომლის თანახმად, ფხენიანსა და პეკინს შორის ურთიერთობები დაიძაბა.

ჩოგბურთი

# შლაგბაუმს იქით ამერიკაა



REUTERS

ჯენიფერ კაპრიატიმ დემენტიევა სამშობლოში გაისტუმრა



REUTERS

ასე ეთამაშება წვიმა ჩოგბურთის მოყვარულებს

ნიუ-იორკში რუსებზე ფორსირებული შეტევა დაიწყო. ამერიკელებმა ჯერ ვაჟები გაისტუმრეს სამშობლოში, გუშინ კი მათ რამდენიმე ქალბატონიც უკან დაადევნეს. მერვედფინალში უკვე დამარცხდნენ დიანა საფინა და ტურნირის მე-11 ნომერი ელენა დემენტიევა. მათ შეიძლება დაემატოს ანასტასია მისკინაც, რომელიც ფრანგ მარი პირსს პირველ სეტში 4:2-ს კი უგებს, მაგრამ წვიმის შემდეგ კორტებზე როგორ გუნებაზე დაბრუნდება, არავინ იცის.

საფინა ჟიუსტინ ენინმა შეიწირა, დემენტიევა კი - ჯენიფერ კაპრიატიმ. დემენტიევამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მაგრამ ნიუ-იორკის კორტებზე, როგორც ჩანს, მერვედფინალი გადაულახავი შლაგბაუმია დემენტიევასა და მისი თანამემამულეებისთვის.

უიმბლდონისა არ იყოს, ჩოგბურთელებს წვიმა ამერიკის ღია პირველობაზეც დაერია და ლამის ტურნირის მთელი პროგრამა შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი დღე თავდაყირა დააყენა. ჩოგბურთელებმა მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრეს, - ისიც სამჯერადი შესვენებით.

"საშინლად დამღლელი დღე იყო. ასეთი მატჩების თამაში ძალიან ძნელია, რადგან წამდაუწუმ ვარდები რიტმიდან", - თქვა ჯენიფერ კაპრიატიმ მატჩის შემდეგ. წვიმა, თითქოს რუსებს სიცოცხლეს უხანგრძლივებსო, წამდაუწუმ ეშვება ცოდვილ დედამიწაზე და ჩოგბურთელები სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

გუშინ, როგორც ვთქვით, დღის განმავლობაში მხოლოდ ორი მერვედფინალის ჩატარება მოესწრო. დანარჩენი მატჩები გადაიდო და, სავარაუდოდ, გვიან ღამით უნდა დასრულებულიყო (თუ, რა თქმა უნდა, წვიმა გადაიღებდა).

პირველად ჯენიფერ კაპრიატი და ელენა დემენტიევა გამოჩნდნენ კორტებზე. ჯენი ამერიკელებს ძალიან უყვართ - უცნაური და თავისებური ხასიათის გამო. ერთ-ერთ კონსერვატორს წამოსცდა: "ჯენი ცხოვრებაში ისე იქცევა და იმას აკეთებს, როგორც მე მოვიქცეოდი, გამბედაობა რომ მყოფნიდეს და რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა შემეძლოსო". ასე რომ, კაპრიატის გამოჩენას ტრიბუნები ოვაციით შეხვდნენ.

დემენტიევა, თითქოს თავისი არ ეყოფოდა, გულშემატკივრებმა სრულიად დააბნიეს. ჩოგბურთელებმა 10 წუთი ივარჯიშეს - ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი, რადგან არსებობდა საშიშროება, წვიმა წამოსულიყო და თამაში გადაეტანათ, მაგრამ წვიმამ ხუმრობა გადაწყვიტა: ჩოგბურთელებს დიდსულოვნად აცალა მოთელვა და თამაშის დაწყებიდან 13 წუთში თავისი თბილი წვეთები თავზე დაალევენთა.

ნათელი იყო, რომ ამ მატჩში დემენტიევას შანსი არ ჰქონდა. 13 წუთში ჯენიმ 4 გეიმი მოიგო და 4:0 დაწინაურდა. 4,5-საათიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მეტოქეებმა კიდევ ნახევარი საათი ითამაშეს და მსაჯმა მათ ისევ გასახდელისკენ მიუთითა. ამ დროს ანგარიში იყო 6:2, 3:2 კაპრიატის სასარგებლოდ. კიდევ ერთი საათი და, თამაშის განახლების შემდეგ ჯანიფერ კაპრიატიმ მეოთხედფინალის საგზური გაიფორმა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დემენტიევამ, რაც შეეძლო, წინააღმდეგობა გაუწია გახელებულ მეტოქეს და მეორე სეტი 5:7 წააგო.

შემდეგ ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი და დინარა საფინა გამოვიდნენ კორტზე. ენინთან შედარებით საფინა როგორღაც შებოჭილი და მორიდებული ჩანდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა არ შედგა. პირველი სეტი რუსმა ნულზე წააგო. მეორეში კი მხოლოდ სამი გეიმის აღება მოახერხა და საბოლოოდ ორ სეტში დამარცხდა.

**ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი.**
**"დიდი სლემის" ტურნირი.**
**საპრიზო ფონდი 5 156 000 დოლარი.**
**ქალები. (შარშანდელი გამარჯვებული სერენა უილიამსი).**

*მერვედფინალები:*

| | |
|---|---|
| **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ, 6) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 11) | 6:2, 7:5 |
| **ჟიუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 2) - დინარა საფინა (რუსეთი) | 6:0, 6:3 |

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 3 სექტემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00, 16:35, 20:40, 23:50 თავისუფალი დარტყმა
13:15 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
14:10 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "სპორტინგი"
15:50 პოსტსკრიპტუმი
16:20 "ცხრიანი"
16:50 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
17:45 "FUTBOL MUNDIAL"
18:15 შარშანდელი სეზონის გახსენება. ლიბერტადორესის თასი ნახევარფინალი: "ამერიკა კალი" - "ბოკა ხუნიორსი". მეორე მატჩი.
20:00 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
20:30 ხვალის პროგრამა
20:55 დარტყმა გოლის მიმართულებით
21:10 გასული კვირის ჰიტ-პარადი
22:50 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
00:05 შარშანდელი სეზონის გახსენება. ლიბერტადორესის თასი ფინალი: "ბოკა ხუნიორსი" - "სანტოსი". პირველი მატჩი
01:50 დარტყმა გოლის მიმართულებით
02:05 ფეხბურთი ა-დან წ-მდე

**НТВ + СПОРТ**
09:30 კალათბურთი WNBA-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი. "დეტროიტი" - კლივლენდი". მესამე მატჩი
11:00, 16:50 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
16:00 ტრიატლონი. გადაცემა სამხრეთ კორეიდან
17:05 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის წინ.
18:05 ფიგურული სრიალი
19:00 ათენის გზაზე
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი. შესვენებებზე: პრეს-ცენტრი, "ოლიმპის შვილები", ყოველკვირეული სპორტული ჟურნალი, ხვალინდელი პროგრამა ახალი ამბები
03:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. გადაცემა იაპონიიდან
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:00 მულტსპორტი
12:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 კრივი. საერთაშორისო ტურნირი
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
02:45, 04:30, 05:00 ევროსპორტის სიახლენი
04:00 აფროსნობა

ფეხბურთი

# ბოლო შანსის წინ

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების თეორიული, სიმბოლური, თანაც, ბოლო შანსი დარჩა. იმისთვის, რომ ეს შანსი ქარს არ გაჰყვეს, 6 სექტემბერს ალბანეთის ნაკრები ტირანაში უქულოდ უნდა გავაბრუნოთ. ისე, აღარც არწივების ქვეყნის წარმომადგენელთა ძლევა გვიშველის, თუ ამავე დღეს დუბლინში რუსეთის ნაკრები ქულას მაინც ვერ მოიპოვებს. თუმცა, მარჩიელობას და პროგნოზებს დროებით (6 სექტემბრამდე მაინც) თავი დავანებოთ და დავუბრუნდეთ ჩვენს ეროვნულ გუნდს, რომელმაც შეკრება 1 სექტემბერს დაიწყო.

"შინდისფერი ლეგიონი" დიდ დიღომში მდებარე, ფიფას გრანტით აშენებულ შოთა იამანიძის სახელობის ბაზაზე გუშინ სრულად შეიკრიბა. იმის გამო, რომ ეს ახალი საფეხბურთო ცენტრი ჯერ მხოლოდ საცხოვრებლად არის ვარგისი და მისი მოედნები სრულ მზადყოფნაში არ არის, გუნდს საწვრთნელი პროცესის წარმართვა ეროვნულ სტადიონზე უხდება. თუმცა, "საცხოვრებლად ვარგისი" საკმაოდ მსუბუქად ნათქვამია. საცხოვრებელმა კორპუსმა უკვე მიიღო საბოლოო სახე. ასეთი დონის საწვრთნელ-დასასვენებელი კომპლექსით, არათუ საქართველო, ბევრი სხვა, გაცილებით განვითარებული ქვეყანაც კი ძნელად დაიკვეხნის. ხუთვარსკვლავიანი საძინებელი ნომრები, დასავლური სტანდარტების შესაფერისი სატრენაჟორო დარბაზი, საცურაო აუზი, საშხაპეები, სასტუმრო და სასადილო დარბაზები... "ეს ფანტასტიკაა. ასეთი ბაზა ჯერ არ მინახავს", - ეს სიტყვები ეკუთვნის შვეიცარიის მოქალაქეს, წარმოშობით ბერძენ ალექს პაპასტერგიოსს, რომელიც პროფესიით მძლეოსნობის მწვრთნელია – ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის ბინადარს, შვეიცარიის "ციურიხს" ფიზმომზადებაში ავარჯიშებს და არაერთი ევროპული საწვრთნელი ბაზაც უნახავს.

ფიფას ამ საჩუქარს თვალისჩინივით უფრთხილდება მისი დირექტორი შოთა ხინჩაგაშვილი, რომელმაც "24 საათისთვის" კომენტარი არ დაიზარა.

"სახოვრებელი კომპლექსი სრულ წესრიგშია და თავადაც ხედავთ, ფეხბურთელები აქ სრულიად კომფორტულად გრძნობენ თავს. რაც შეეხება სავარჯიშო მოედნებს, ერთი მინდორი უკვე მზადაა, მაგრამ სამუშაოები მიმდინარეობს მის მიმდებარე მეორე მინდორზე. ამათ გარდა, ვაკეთებთ მინიფეხბურთის მოედანს და ჩოგბურთის კორტებს. სამუშაოებს უძღვება ფირმა "თბილისი", რომლის ხელმძღვანელები პირობას გვაძლევენ, რომ მომავალი წლისთვის ყველა სამუშაოს დაასრულებენ. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო შესარჩევ ციკლს ბაზა სრულ მზადყოფნაში შეხვდება", - განგვიცხადა მან.

ნაკრებმა გუშინ ორჯერ ივარჯიშა, დილის 11 საათზე და საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე. მეორე ვარჯიში გაცილებით ხანგრძლივი გამოდგა – 2 საათზე მეტხანს გასტანა და თქვენს ყურადღებასაც მასზე შევაჩერებთ.

ჟურნალისტებისთვის საკმაოდ უჩვეულო გამოდგა ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას გამოჩენა, რომელმაც, მოგეხსენებათ, ციკლის დარჩენილ სამ მატჩში ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფუნქციები შეითავსა, ხოლო თანაშემწეებად, რევაზ არველაძესთან ერთად, ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელები თემურ ქეცბაია და მიხეილ ყაველაშვილი მიიწვია.

უკვე ვახსენე ალექს პაპასტერგიოსი, რომელიც ყაველაშვილს თბილისში ტურისტად ნამდვილად არ ჩამოუყვანია. იგი ეროვნულ გუნდთან ერთად მოვიდა ბორის პაიჭაძის სტადიონზე და პირველივე წუთებიდან საქმეს შეუდგა. კერძოდ, ამ სამი დღის განმავლობაში ქართველ ფეხბურთელთა ფიზმომზადების საქმეს სწორედ ის გაუძღვება.

პაპასტერგიოსმა ფეხბურთელები ჯერ დაბალ ტემპში სამი წრე არბენინა, ხოლო შემდეგ ორგანიზმის შესახურებელი ვარჯიშების მთელი კასკადი ჩაატარა და მის ხელქვეით მყოფთ, მართლაც, სიქა გააცალა. თუმცა, ეს გვარიანი ოფლისღვრა აიცილეს შოთა არველაძემ, გიორგი დემეტრაძემ, ალექსანდრე იაშვილმა და ზურა ხიზანიშვილმა. ეს ფეხბურთელები გუშინ ჩამოვიდნენ საქართველოში და ნაკრების მწვრთნელები მომქანცველი მგზავრობის შემდეგ მათ სერიოზულად დატვირთვას მოერიდნენ.

ბოლოს მწვრთნელებმა ნაკრები სამ გუნდად დაყვეს და ნახევარ მოედანზე ორმხრივი თამაში დაავალეს. სამივე გუნდი შეხვდა ერთმანეთს და თითო თამაშმა დაახლოებით 10 წუთს გასტანა. ტრადიციული კარში დარტყმები დიდხანს არ გაგრძელებულა.

ვარჯიში ერთი საათის დაწყებული იყო, როცა გამოჩნდა არჩილ არველაძე, რომელსაც ქუსლის ტრავმა ისევ აწუხებს. "როგორც კი მომირჩება, მაშინვე თამაშს შევუდგები. მიწვევები ახლაც მაქვს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ნამდვილად ვერ ვითამაშებ", - მითხრა არჩილმა.

დემეტრაძე კი, რომელმაც "ახალი ნამგზავრის" სტატუსით ისარგებლა, სხვებზე ადრე გამოეთიშა თანაგუნდელებს და ვარჯიშს.

"ძალიან სერიოზული მატჩები გველის. თითქმის ყველა ჯანმრთელადაა, მხოლოდ ჯამარაულს აწუხებს ფეხის ტკივილი. მთელი გუნდი მოსაგებადაა განწყობილი. მართალია, მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა, მაგრამ სანამ თუნდაც სულ მცირე შანსი არსებობს, მის გამოყენებას უნდა შევეცადოთ", - განუცხადა "24 საათს" დონეცკის "მეტალურგის" თავდამსხმელმა. რაც შეეხება ამავე გუნდის კაპიტანს და საქართველოს ნაკრების ვეტერან ნახევარმცველს გოჩა ჯამარაულს, მან სამი დღის წინ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო – ფეხში ჩაარტყეს და თბილისში გასიებული კოჭით ჩამოვიდა. თუმცა, იმის თქმა, რომ 6 სექტემბერს ჯამარაულის თამაში გამორიცხულია, ჯერ ნაადრევია.



მერაბ ჟორდანიის პირველი ვარჯიში მწვრთნელის ამპლუაში



ალექს პაპასტერგიოსი ნაკრების ფიზ-მომზადების ახალი მწვრთნელია



თემურ ქეცბაია შეგირდებს წინ მიუძღვება



არველაძე, იაშვილი, დემეტრაძე და ხიზანიშვილი ცალკე ავარჯიშეს

# ჯოვანი ელბერი: "გამომშვიდობებისას ცრემლებს ვებრძოდი"

*ექვსი წლის, 167 მატჩისა და 92 გოლის შემდეგ ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი მიუნხენის "ბაიერნს" დაემშვიდობა და ფრანგულ "ლიონში" გადაბარგდა. გერმანულ კლუბში გატარებულ უკანასკნელ დღეს, მისივე თქმით, ის ძლივს იკავებდა ცრემლებს. თუმცა, ყოველივე ამის შესახებ, ჯობს, თავად ელბერისგან გავიგოთ.*

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა "ბაიერნის" გასახდელში უკანასკნელად შეხვედით?**

- არ ვიცოდი, რა უნდა მექნა – ტირილი დამეწყო თუ გამხარებოდა ეს ყველაფერი. ძალიან უცნაური შეგრძნება იყო, როდესაც კარადიდან ჩემი ნივთები გამოვიღე. ვიხსენებდი იმ ექვს წელიწადს, რომელიც "ბაიერნში" გავატარე. ამ დროს ცრემლებს ვებრძოდი...

**- რომელი შეგრძნება უფრო მძაფრია: "ბაიერნთან" გამომშვიდობებით მიღებული სევდა თუ სიხარული, რომელიც "ლიონში" გადასვლას უკავშირდება?**

- ძნელია, ორ-სამ დღეში "ბაიერნი" თავიდან ამოვიგდო. აქ თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. აქ არის ჩემი ფესვები და ისინი მიუნხენში დარჩება. აქაურობა ჩემი მეორე სამშობლოა. თუმცა, ამიერიდან მხოლოდ ერთი რამ არის მთავარი: ლიონის "ოლიმპიკი".

**- "ბაიერნს" მალე შეხვდებით - 21 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგაში.**

- ეს ამბავი ისე მახარებს, როგორც ბავშვს - შობა.

**- დაჯაბნით "ბაიერნს" "ლიონით"?**

- იმედი მაქვს, მომდევნო ეტაპზე ჩვენც გავალთ და "ბაიერნიც". თუმცა, არც "სელტიკისა" და "ანდერლეხტის" ჩამოწერა შეიძლება. ეს დიდი შეცდომა იქნება.

**- "ბაიერნის" კარში გატანილი გოლით შურისძიებას ეცდებით?**

- შურისძიებაზე არ ვფიქრობ. კარში ოლივერ კანი დგას, დაცვა... გოლის გატანა ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ, ცხადია, შევეცდები. "ლიონმა" ხომ ამისთვის გადამიყვანა. ასე რომ, ჩემო ბაიერნელო მეგობრებო, ფრთხილად იყავით *(იცინის)*.

**- თქვენს შემცვლელს, როი მაკააის, ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია. მისი მისამართით უკვე კრიტიკა ისმის...**

- ახლა მასაც ნუ გაუმწარებთ სიცოცხლეს. წლების მანძილზე ის ესპანეთში თამაშობდა. იქ კი გერმანიისგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. მეც უნდა შევეჩვიო ჩემს ახალ კლუბს. "ლიონის" შემადგენლობაში პირველ მატჩში არც მე გამიტანია გოლი.

**- მაკაი კი, უკვე სამი მატჩია, თავის პირველ გოლს ელის.**

- მომდევნო მატჩში, "ვოლფსბურგის" წინააღმდეგ, ის გაიტანს. ამაში დარწმუნებული ვარ. მას ცოტა დრო სჭირდება. მიუნხენელები მისი თამაშით მალე დიდ სიამოვნებას მიიღებენ.

**- მიუხედავად ამისა, ზეწოლა სულ უფრო იზრდება. იქნებ გვითხრათ, როგორ გრძნობს ასეთ შემთხვევაში თავს თავად ფეხბურთელი?**

- სატრანსფერო თანხა, კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებები, გულშემატკივართა მოლოდინი... ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთელზე. ხოლო თუ მერე შენ პირველ, მეორე, მესამე მატჩებში გოლს ვერ გაიტან, უკვე აღარაფერი გამოგდის.

**- როდესაც თქვენ "ბაიერნში" გადახვედით, პირველივე მატჩში გაიტანეთ გოლი. ესე იგი, ელბერი მაკააის სჯობს?**

- "ბაიერნში" გადასვლამდე "შტუტგარტში" ვთამაშობდი. მე კარგად ვიცნობდი ბუნდესლიგას. როის ამის გამოცდილება არა აქვს. მისთვის ყველაფერი ახლა იწყება. ამიტომ ნუ შეადარებთ ელბერს და მაკააის. დაივიწყეთ ელბერი და დაელოდეთ მაკააის გოლებს.

**- მენეჯერი ჰიონესი გამოსათხოვარი მატჩის ორგანიზებას შეგპირდათ. ეს დიდი პატივია თქვენთვის?**

- ამით კარგად ჩანს, თუ რა დიდი გული აქვს ული ჰიონესს. მისი ეს ჟესტი ძალიან მომეწონა. შესანიშნავი ზეიმი გველის, საამისოდ უამრავი მიზეზი გვექნება.

**- მაინც რა მიზეზები?**

- "ბაიერნის" გამარჯვება გერმანიის ჩემპიონატსა და ქვეყნის თასზე, "ლიონის" გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში *(იცინის)*.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ უელსის წინააღმდეგ სათამაშოდ გუნდში მილანელები - ფილიპო ინძაგი და ჯენარო გატუზო გამოიძახა. ორივე ფეხბურთელმა გამოტოვა ამხანაგური მატჩი გერმანიის ნაკრებთან. ისინი შეცვლიან ფაბრიციო მიკოლისა და ფრანჩესკო ტოტის, რომლებმაც ტრავმა მიიღეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკრაინელი სერგეი რებროვი "ზოლტონში" არ ითამაშებს. გუნდის მწვრთნელმა სემ ელარდაისმა განაცხადა: იმის გამო, რომ რებროვმა ბრიტანეთის სამუშაო ვიზის გაფორმება ვერ მოასწრო, ფეხბურთელი განაცხადში ვერ შეიყვანეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლივერპულის "ევერტონმა" კონტრაქტი გააფორმა "სანდერლენდის" ირლანდიელ ნახევარმცველთან კევინ კილბეინთან. სატრანსფერო თანხამ მილიონი დოლარი შეადგინა. კილბეინი მე-16 ფეხბურთელია, რომელმაც ამ სეზონში "სანდერლენდი" დატოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუხედავად იმისა, რომ "რომამ" ამსტერდამის "აიაქსს" ფინანსური გარანტიები ვერ წარუდგინა, ჰოლანდიელებმა რომაელებს სეზონის ბოლომდე იჯარით მაინც დაუტოვეს რუმინელი კრისტიან კივუ. ადრინდელი შეთანხმებით, რომაელებს კივუ 18 მილიონ ევროდ უნდა შეეძინათ, მაგრამ "აიაქსის" ანგარიშზე თანხა არ გადარიცხულა. თუმცა, ამსტერდამელებმა გაითვალისწინეს, რომ "რომას" შეიძლება გამოუჩნდეს კივუს შესასყიდი თანხა, ამიტომ მათ რუმინელის ნაცვლად უკვე შეიძინეს ზდენეკ გრიგერა, რომელმაც ტრავმა მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს არგენტინის წინააღმდეგ. ფეხბურთელმა მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. შეხვედრას გამოტოვებს მცველი გალდამესი, რომელმაც ფეხი მოიტეხა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრებისა და "კორინთიანსის" მცველი კლებერი იჯარით ჰანოვერში გადავიდა. სატრანსფერო თანხამ 500 000 ევრო შეადგინა. ფეხბურთელის თვიური ანაზღაურება კი 60 000 დოლარი იქნება. თუ ერთი წლის შემდეგ "ჰანოვერი" ფეხბურთელის დატოვებას გადაწყვეტს, მან ბრაზილიელებს კიდევ 3 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "პორტსმუთმა" ჩეხ მეკარე სრნიჩეკთან კონტრაქტი გააფორმა. სრნიჩეკი ადრე იტალიური "ბრეშას" ღირსებას იცავდა. ამ ტრანსფერით სამხრეთინგლისელებმა, შეიძლება ითქვას, მეკარე ცხვირწინ აცალეს "ვულვერჰემპტონის" სელექციონერებს. ახლა ადვილი შესაძლებელია, "ვულვზმა" ჰაკა ჰისლოპი გადაიბიროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** წლევანდელ სატრანსფერო პერიოდში გერმანიის 18-მა კლუბმა 57 მილიონი ევრო დახარჯა. ბუნდესლიგის ბინადრებმა ამ ფულით ვეტერანები და ახალბედა ფეხბურთელები შეიძინეს. თანხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელთა აქტიურობა დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე გასულ სეზონში. ხარჯის შეზღუდვა უკავშირდება კრიზისს ტელეკომპანიებთან ურთიერთობაში. შედარებისთვის: რომან აბრამოვიჩმა "ჩელსისთვის" ფეხბურთელების შესაძენად 160 მილიონი ევრო დახარჯა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩხუბით დასრულდა ზაგრების "დინამოსა" და სპლიტის "ჰაიდუკის" მორიგი მატჩი. ფანებმა გაანადგურეს სტადიონ "მაკსიმირის" მიმდებარე ტერიტორია. ერთ-ერთი გულშემატკივარი კი პეტარდის აფეთქების შედეგად დაზიანდა. პოლიციამ რამდენიმე ადამიანი დააკავა, მაგრამ შემდეგ ყველა მათგანი გაათავისუფლა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდი მაიკლ ოუენი მზად არის, კლუბთან ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს. ოუენმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კლუბი მისი პერსონით დაინტერესდა. ჯერჯერობით მოლაპარაკების დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ "ლივერპულის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ "ოქროს ბიჭუნას" იმედი აქვს. ოუენმა ისიც განმარტა, რომ მისთვის აუცილებელია ჩემპიონთა ლიგაში თამაში, მაგრამ "ლივერპულს" აქამდე დიდი დრო დასჭირდება. შარშანდელ სეზონში გუნდმა პირველი ჯგუფური ტურნირის ბარიერი ვერ გადალახა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიხაელ შუმახერი სან-მარინოს რესპუბლიკის ელჩი გახდა. პატარა რესპუბლიკამ შუმახერი აირჩია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტული მიღწევებით გამოირჩევა, არამედ იმიტომაც, რომ აქტიურად თანამშრომლობს იუნესკოსა და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** პრესკონფერენცია გამართეს პარიზში ახლახან დამთავრებული მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა. აღსანიშნავია, რომ საუბრის თემა იყო არა მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი, არამედ 2012 წლის ოლიმპიური თამაშები. ფრანგები დარწმუნებულნი არიან, რომ მსოფლიო პირველობის მაღალ დონეზე ჩატარება პარიზს კიდევ უფრო დაუმატებს ქულებს ოლიმპიადისთვის ბრძოლაში. "განა შეიძლება, ჩვენ ჩამოგვერთვას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მას შემდეგ, რაც წარმატებით ჩავატარეთ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ახლახან კი - მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებიდან დადებითი გამოხმაურება მივიღეთ?" - გაოცებულია ჟან დიუსური.

### შოუ-ბიზნესი

## "მეოცნებეებს" ცენზურა ემუქრება



იტალიელი რეჟისორი ბერნარდო ბერტოლუჩი დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრებში მის ახალ ეროტიკულ ფილმს, "მეოცნებეებს", შემოკლებული სახით აჩვენებენ, ის "ამპუტირებული იქნება და დასახიჩრებული". მხოლოდ ამ პირობით შეძლებენ ამერიკელი მოზარდები ამ ფილმის ნახვას.

ფილმის მსოფლიო პრემიერა წელს, ვენეციის მესამოცე კინოფესტივალზე შედგა. მოქმედება 1968 წელს, სექსუალური რევოლუციის დროს, საფრანგეთში ვითარდება, და მასში სამი ადამიანის – ამერიკელი სტუდენტისა და ფრანგი და-ძმის სასიყვარულო ამბავია მოთხრობილი. შესაბამისად, ის სცენები, რომლებშიც ეს სამეული აბაზანაში გორაობს, და-ძმა ერთმანეთს ეფერება და გოგონა სამზარეულოს იატაკზე კარგავს უბიწობას, ამერიკელი მაყურებლის თვალებისთვის არაა განკუთვნილი – მოგეხსენებათ, ერთობ კონსერვატიული საზოგადოება ბრძანდება.

### არ გაიღიმოთ!

ამიერიდან კანადაში საპასპორტო სურათის გადაღება საკმაოდ სევდიანი პროცესი იქნება: საქმიანი საბუთებისთვის განკუთვნილი ფოტოსურათების გადაღებისას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაღიმება აკრძალა. საპასპორტო უწყების ინფორმაციით, მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მრავალი რეკომენდაციით იყო განპირობებული, და აეროპორტების საპასპორტო კონტროლის მოსამსახურე პირების მიერ მგზავრთა იდენტიფიკაციის პროცესს გააადვილებს.

კანადელებს "ნეიტრალური გამომეტყველება" უნდა ჰქონდეთ, ანუ, სამინისტროს თანამშრომელთა განმარტებით, "არ უნდა გაიცინონ, არ უნდა გაიღიმონ და არ უნდა დაგვიბღვირონ".

პარიკის ხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ მას მუდმივად ატარებენ და ის პასპორტის მფლობელის გარეგნობას არსებითად არ ცვლის. იგივე ეხება თავსაბურავებსაც, რომლებსაც რელიგიური პრინციპების გამო ატარებენ.

ოფიციალურად ეს აკრძალვა ძალაში 15 აგვისტოს შევიდა, მაგრამ ამ დროისთვის მთელი ქვეყნისთვის ამის შეტყობინება შეუძლებელი აღმოჩნდა – მოგეხსენებათ, ონტარიოში შუქი იყო გამორთული.

### კოელო და მადონა?

მრავალწლიანი ორჭოფობის შემდეგ ბრაზილიელმა მწერალმა, პაოლო კოელომ თავის "ალქიმიკოსის" ეკრანიზაციაზე თანხმობა განაცხადა. უკვე ცნობილია, რომ ამ ფილმში მთავარ როლებს ბრიტანელი მსახიობი ჯერემი აირონსი და ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი, მადონა შეასრულებენ.

"ალქიმიკოსი" მილიონიანი ტირაჟებითაა გაყიდული, მაგრამ რაც მის მიხედვით შექმნილ სცენარებს შეეხება, 1993 წლიდან კოელომ უამრავი ნამუშევარი დაიწუნა - ამის შესახებ ის "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში მოყვა. როგორც იქნა, მისი გული "მატრიცას ვარსკვლავმა", ლორენს ფიშბურნმა მოიგო: "ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა წაკითხული მომეწონა," ყვებოდა კოელო. ფიშბურნი მომავალი ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელიც იქნება. ფილმის ბიუჯეტი 80 მილიონ დოლარს შეადგენს, მისი გადაღება ამ წლის ბოლოს, იორდანიაში დაიწყება.



# სახლი ქალაქის ცენტრში

თამარ სუხიშვილი



ნინო ჟვანია წიგნის სახლის გეგმებზე საუბრობს

ლევან ხერხეულიძის ფოტო

შარშან დეკემბერში წიგნის მაღაზია "პარნასის" გახსნაზე ბატონმა ზურაბ კიკნაძემ, რომელიც სიხარულს ვერ მალავდა, ასეთი სურვილი გამოთქვა: კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს წიგნის სახლი - დიდი სახლი ქალაქის ცენტრში, სადაც ყველა გამომცემლობის ბეჭდვითი პროდუქცია გამოიფინება, გაიყიდება წიგნი, წიგნის მოყვარულები შეხვდებიან ერთმანეთს, ავტორებს, დასხდებიან, ისაუბრებენ და თუ წიგნის შეძენას ვერ მოახერხებენ, იქვე წაიკითხავენ მაინცო...

ალბათ ფიროსმანის ნატვრა გაგახსენდათ. წიგნის სახლი, რომელსაც ქართველი წიგნის მოყვარულები კარგა ხანია ნატრობენ, უკვე გამოჩნდა კიდეც, გამსახურდიას გამზირზე, ყოფილ კინოთეატრ "თანამგზავრის" გვერდით, ძველი ბიბლიოთეკის შენობაში.

ვიღაცა იტყვის – რა გვეწიგნისსახლება, ქვეყანა თავზე გვენგრევაო. სხვა რომ აღარ შევაწუხოთ, ისევ ზურაბ კიკნაძის ერთ წერილს გავიხსენებთ ბუკინისტების შესახებ, წიგნს ჩვენი ეპოქის სიმბოლოდ რომ მოიაზრებს: "ცდება, ვინც ფიქრობს, რომ წიგნი მხოლოდ წასაკითხად არსებობს. მისთვის, ვინც წიგნს პრაგმატული თვალით უყურებს, თუნდაც როგორც ცოდნის მიღების საშუალებას, დაფარულია მისი არსების ეპოქალური სიმბოლიზმი. ის არ არის საშუალება. ის სიმბოლოა..."

წიგნის მაღაზია - ბიბლიოთეკა - ინტერნეტ-კაფე – წიგნის სახლში მკითხველს ფართო არჩევანი ელის. გნებავთ, წიგნს შეიძენთ (ნებისმიერი სახის ლიტერატურას მოიძიებთ, აქ უკვე 1000-ზე მეტი დასახელების წიგნია, თანაც, როგორც გვპირდებიან, შედარებით იაფად), გნებავთ, ბიბლიოთეკაში ჩაეწერებით, გნებავთ, ინტერნეტის საშუალებით თქვენთვის სასურველ ინფორმაციასა და გამოცემას იპოვით და გამოიწერთ კიდეც, და ბოლოს, შეგიძლიათ იქვე მოკალათდეთ (სივრცე დიდია) და რამდენიც გინდათ, იმდენი იკითხოთ, მიირთვათ ყავა (ან კოქტეილი) და ისაუბროთ... სასურველია, ლიტერატურაზე. მთავარია, ყავა წიგნზე არ გადაასხათ, თუმცა წიგნის სახლის დამფუძნებლებმა ამ მოსალოდნელი უხერხულობის ასაცილებლად თავი დაიზღვიეს – იმ მაგიდასთან, სადაც ყავას სვამენ, წიგნის მიტანა არ შეიძლება.

ახლად შექმნილ წიგნის სახლს, როგორც უკვე გითხარით, თავისი წინაპარი ჰყავს – ძველი ბიბლიოთეკა, რომელშიც ერთ დროს 35 ათასი წიგნი ინახებოდა და ბევრი მკითხველი ჰყავდა (ძირითადად, საბურთალოს მცხოვრებნი). მერიის კულტურის სამსახურისა და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ინიციატივითა და სურვილით წიგნის სახლი სწორედ ძველი ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა... წიგნების დახარისხების შედეგად ახლად დაარსებულ წიგნის სახლს საცავში დაცული გამოცემების მხოლოდ ნახევარი შემორჩა. მათ მეორე სართულზე დაიდეს ბინა (პირველ სართულზე მაღაზია და კაფეა განთავსებული). ბიბლიოთეკის თანამშრომლებს წინ კიდევ ბევრი საქმე ელით. ბოლო 15 წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო ფონდში წიგნი არ შემოსულა. ეს ვაკუუმი თანდათანობით უნდა შეივსოს; ამასთან, ბიბლიოთეკა ახალი წიგნებითაც უნდა გამდიდრდეს. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა – ბიბლიოთეკას 100 ახალი გამოცემა აქვს. და კიდევ ერთი 100-ც უკვე გარანტირებულია – რუსეთის საელჩოს საჩუქარი (იმედია, რუსეთი შუქს თავისი ნაჩუქარი წიგნების წასაკითხად მაინც მოგვაწვდის), მოლაპარაკება წარმოებს სხვა საელჩოებთანაც. დასახვეწია ბიბლიოთეკის მომსახურების მექანიზმი. სერიოზული მოფიქრება სჭირდება მკითხველების მიერ ახალი გამოცემების გატანის საკითხს. ეს საკითხი უცხოეთშიც დგას. მაგალითად, იტალიაში სწორედ ამასწინათ მიიღეს ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული წიგნების ბიბლიოთეკიდან გატანა აკრძალულია. თუმცა, წიგნის სახლის ბიბლიოთეკის მესვეურები ფიქრობენ, რომ წიგნის გატანის შეზღუდვა მაინც არ იქნება მართებული, უბრალოდ გარკვეული წესები უნდა დადგინდეს. ისე, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ წინ ცივი ზამთარი გველის, ხოლო წიგნის სახლში გათბობის სისტემაა დამონტაჟებული, ამ რიგის შეზღუდვამ მკითხველი შესაძლოა მაინცდამაინც არც კი შეაწუხოს.

წიგნის სახლში მართლაც რომ არაჩვეულებრივად მიმზიდველი გარემოა, სწორედ ისეთი, გინდა-არ გინდა წიგნის საკითხავად რომ განგაწყობს კაცს – დიდი, ნათელი და, ამავდროულად, მყუდრო სივრცე, სადა და გემოვნებიანი ინტერიერი, თაროებზე – წიგნები, კედლებზე - ფოტოები, ფოტოებზე – ქართველი მწერლები... როგორც ჩვენმა მასპინძელმა, წიგნის სახლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნინო ჟვანიამ გვითხრა, აქ უკვე დაგეგმილია პრეზენტაციები, ყოველკვირეული ლიტერატურული შეხვედრები – ამ შეხვედრებს მწერალი ზაალ სამადაშვილი გაუძღვება, ე.წ. "ბავშვების საათი" კვირაობით – მოწვეული მსახიობები პატარებს წაუკითხავენ ზღაპრებს, მოთხრობებს, შესთავაზებენ თეატრალიზებულ დადგმებსა და ლიტერატურულ თამაშებს.

"გვინდა ბავშვები შემოვიტყუოთ წიგნის სამყაროში, რომ ისინი წიგნთან გაუცხოებულნი არ იყვნენ. მეზობელი სახლებიდან ჩვენთან უკვე შემოდიან კიდეც ბავშვები, წიგნებს გვთხოვენ და კითხულობენ," – გვეუბნება ქალბატონი ნინო, რომელმაც წიგნის სახლის არსებობის აუცილებლობა უფრო მწვავედ მაშინ იგრძნო, როცა შვილები წამოეზარდნენ. "ერთ მშვენიერ დღეს ბავშვები წიგნის მაღაზიაში რომ შევიყვანე (ჩვენთან ხომ ახლა ძირითადად შერეული ტიპის მაღაზიებია), მივხვდი, რომ ასეთი გარემო მათ წიგნის, კითხვის სიყვარულს ვერ გაუღვიძებდა... ბაბუაჩემი ბიბლიოფილი იყო, "ვეფხისტყაოსნების" შესანიშნავი კოლექცია ჰქონდა. ყოველდღე დავყავდი პლეხანოვზე ბუკინისტურ მაღაზიაში (მაშინ პლეხანოვზე ვცხოვრობდით) და თითქმის ყოველდღე ყიდულობდა რაღაც წიგნს. მერე, მეც მომინდა წიგნი ჩემით მეყიდა, ფულის შეგროვებაც კი დავიწყე..."

წიგნის სახლის პროექტზე მუშაობა ჩვენმა რესპონდენტმა ორი წლის წინ დაიწყო. ჯერ ერთი პროექტი დაწერა, მერე - მეორე, მესამე... მაგრამ ავტორს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ყველა ფონდში რაღაც დაბრკოლება დახვდა. პროექტმა გრანტი ვერ მოიპოვა. სამწუხაროდ, ფონდები ჩვენში ამ ტიპის პროექტებს არ აფინანსებენ. ბოლოს მაინც მოხერხდა ჩანაფიქრის განხორციელება კერძო სპონსორების, კრედიტის და იმ ადამიანთა დახმარებით, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი ამ წამოწყებას...

წიგნის სახლის გახსნის ცერემონიალი 16 სექტემბერს არის დაგეგმილი. ამავე დღეს გაიმართება პირველი პრეზენტაციაც (ენციკლოპედია "თბილისის" პრეზენტაცია). უკვე სექტემბრის თვეში ახლად შექმნილი სახლი უამრავ საინტერესო პრეზენტაციას უმასპინძლებს: ელექტრონული გამოცემების – "ლადო ასათიანი" და "აკაკი წერეთელი" – პრეზენტაცია, სამი გამოცემის პრეზენტაცია რუბრიკიდან - "ყველა დროის საუკეთესო ქართული მცირე რომანი" და სხვა. მოკლედ, მიბრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ. წიგნის სახლის კარი ყველასთვის ღიაა.

წიგნის მოყვარულთა ამ ზეაწეულ განწყობას ვიღაცა ისევ წყალს გადაასხამს, რა დროს წიგნის სახლია, გაჭირვებამ წაგვლეკა, ულმერთობამ დააქცია ქვეყანაო. რატომ იყო საჭირო წიგნის კითხვა, ჩვენს წინაპრებს ამის მზა პასუხი ჰქონდათ, თითქოს მარტივი, მაგრამ ყველაფრისმომცველი – იმიტომ რომ "შეიყუარო ღმერთი წიგნის კითხვითა" (მამათა სწავლანი, 19,9).

# ნისლში დანთქმული

## კასპარ დავიდ ფრიდრიხი ჰამბურგს დაუბრუნდა



ნახატს თავის ადგილზე კიდებენ

ეს ამბავი ცხრა წლის წინათ დაიწყო და მის ასეთ მარტივ დასასრულს ნამდვილად არავინ ელოდა - კასპარ დავიდ ფრიდრიხის ტილოს გატაცების ამბავმა თავის დროზე გერმანიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

გასულ კვირას ტილო, რომელიც ამდენ ხანს დაკარგულად იყო მიჩნეული, კვლავ გამოჩნდა. ფრანკფურტის ხელოვნების გალერეა შირნის დირექტორს, მაქს ჰოლაინს დაურეკეს და უთხრეს, მობრძანდი და შედევრი წაიღეო.

საბრალო ჰოლაინი ძალიან დაიბნა: "ვიფიქრე, რომ დამცინიან," გამოტყდა იგი. არავინ დასცინოდა – მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დიდოსტატის მიერ დახატული პეიზაჟი, "ნისლში დანთქმული", თავის თავდაპირველ მფლობელს, ჰამბურგის ხელოვნების გალერეას დაუბრუნდა.

მისი დაბრუნების ამბავიც სიმბოლური იყო: საქმე ის გახლავთ, რომ 1994 წლის ერთ მშვენიერ ივლისის ღამეს ტილო სწორედ ფრანკფურტის შირნის გალერეიდან იყო მოპარული. მაშინ ქურდებმა კიდევ ორი ტილო გააყოლეს ხელს – ცნობილი ბრიტანელი მხატვრის, ვილიამ ტერნერის ნამუშევრები, რომლებიც ლონდონის "ტეიტის" გალერეის კუთვნილება იყო.

ქურდების გამოთვლა და დაკავება საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მოხერხდა. ორნი ყოფილან – ერთი ხილით ვაჭრობდა, მეორეს კი კონკრეტული სამსახურიც არ ჰქონია, ხან რით ირჩენდა თავს, ხან - რით. ცხადია, ისინი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ, და მათი შეპყრობა გალერეებს "არ გამოადგათ" – ნამუშევრები მაინც არსად ჩანდა.

2002 წლის დეკემბერში "ტეიტის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტერნერის ნამუშევრები დაიბრუნეს. ერთი პეიზაჟი, უკვე რამდენიმე თვეა, კვლავ გალერეაშია დაცული, მეორესაც სულ მალე ვიხილავთ. როგორ მოხდა ეს ყველაფერი – უცნობია, გალერეის მესვეურნი დეტალების თხრობისგან თავს იკავებენ. ერთმა ფაქტმა კი მაინც "გაჟონა" – ნამუშევრების დაბრუნება სამ მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

ე.წ. "არტნეპინგი", გატაცებული ხელოვნების ნიმუშებისთვის გამოსასყიდის მოთხოვნა, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. შესაბამისად, ტერნერის შემდეგ კასპარ დავიდის ტილოც გამოჩნდა: ჰამბურგის ხელოვნების გალერეის ხელმძღვანელს, ტიმ კისტენმახერს, "შუამავალმა" დაურეკა და გამოსასყიდი თანხა დაასახელა – "მფლობელი" 1,5 მილიონ ევროს მოითხოვდა, მას კი, შუამავალს, გაწეული შრომისთვის 250 ათასი ევრო ეკუთვნოდა.

"ალბათ ჩათვალა, რომ გერმანიაშიც შეძლებდა ფულის გაკეთებას," ვარაუდობს კისტენმახერი. ცხადია, ეს "შუამავალი" ლონდონში მომხდარ გარიგებაშიც იყო გარეული. კისტენმახერს ამ ბატონთან თხუთმეტჯერ მაინც უსაუბრია, ცხადია, ტელეფონით. შუამავალი მის დაშინებას ცდილობდა – საკმაოდ უსიამოვნო საუბრები ჰქონდათ ხოლმე.

რამდენიმე ასეთი ზარის შემდეგ "შუამავალმა" ფასის დაწევა გადაწყვიტა, მაგრამ ჰამბურგელებმა ბრძანეს, მაინც არაფერს გადაგიხდით, მაგრამ მიწიდან ამოგიღებთ და ნახე, რა დღე დაგადგებაო. როგორც ჩანს, ჰამბურგელების მუქარამ გაჭრა – "შუამავალი" განერვიულდა და საბოლოოდ თქვა: "კისტენმახერ, ნახატს ახლავე მოგართმევთ". გადაწყდა, რომ კასპარ დავიდ ფრიდრიხი მშობლიურ ჰამბურგს იმავე გზით დაუბრუნდებოდა, რა გზითაც დაიკარგა - ფრანკფურტის გავლით.

დღემდე გაუგებარია, სად იყო ამდენხანს "ნისლში დანთქმული". ვარაუდობენ, იარაღით მოვაჭრეებს ან ნარკოტიკების გადამყიდველებს ყოფილ იუგოსლავიის ქვეყნებში ჰქონდათ წაღებულიო, მაგრამ ვინ იცის...

ამჯერად ჰამბურგის ხელოვნების მუზეუმს მხოლოდ ერთი გასაჭირი ადგას – ტილოს დაზღვევის თანხა აქვს გასასტუმრებელი. მაშინ, ცხრა წლის წინათ, ეს თანხა 3,7 მილიონ მარკას შეადგენდა. მაგრამ ამას ვინღა ჩივის, მთავარია, რომ კასპარ დავიდ ფრიდრიხი კვლავ მშობლიურ კედლებში ინახება, და ისიც სახალისოა, რომ მისი დაბრუნების შემდეგ კვლავ სატელეფონო ზარი გაისმა: "შუამავალმა" ზრდილობიანად ჰკითხა კისტენმახერს, ხომ მშვიდობით ჩამობრძანდა "ნისლში დანთქმულიო".

# ბრიტანული მისტიკა თბილისში

## "ათასწლეულების მიჯნაზე, ერთ დღეში ნებისმიერი მუსიკის შექმნა შემიძლია"

ვერა ნეფარიძე

*როგორ მუსიკას ქმნის ერთ დღეში მსოფლიოში Banco de Gaia-ს ფსევდონიმით ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსი, ტობი მარკსი, ამას თბილისელები მალე შეამოწმებენ. ჩვენ ხომ მთელი სამი დღე გვაქვს საამისოდ. Banco de Gaia-ს საღამოები თბილისში, შემოდგომის პირველ უიკენდზე, კლუბებში: "ნოანოა", "აჭარა მიუზიკ ჰოლი" და "ჯოი", გაიმართება. პროექტის ორგანიზატორია ვანიკო თარხნიშვილი, რომლის ინიციატივასაც ფინანსურად ზურგი კომპანია "კენტმა" გაუმაგრა.*



Banco de Gaia სცენაზე მუშაობს

მართალია, ზაფხულის უკანასკნელი დღეები ისე ჩაგვიმწარეს, ბევრს ქალაქგარეთ გატარებული შვებულება-არდადაგების სიამეც დაგვავიწყეს და ჯერ რომ შორს გვეგონა, იმ ზამთრის სუსხი, რამდენადაც შეეძლოთ, შეგვაგრძნობინეს, მაგრამ, ზამთრის მოახლოება ნაადრევია. ჯერ მაინც შემოდგომის ჯერია. შემოდგომა კი გვიყვარს და ამას სხვადასხვაგვარი მიზეზები აქვს. ამ პერიოდში განსაკუთრებით მაღლდება ხოლმე ჩვენს ქალაქში კულტურული (რამდენადაც შესაძლებელია ჩვენთან კულტურულად ცხოვრება) აქტივობები. შესაბამისად, ცხოვრება თუ არა, მუშაობა მაინც საინტერესო კალაპოტში დგება. პირადად მე, მეტად მომხიბლა კულტურულად დატვირთული სეზონის გახსნამ, რომელიც ჩვენში საკმაოდ პოპულარულმა პრომოუტერმა ვანიკო თარხნიშვილმა ითავა. რასაკვირველია, იდეა იდეად დარჩებოდა, კომპანია "კენტის" სახით პროექტს ფინანსური მხარდამჭერი რომ არ გამოსჩენოდა. მაგრამ, რადგან ყველაფერი ასე მოგვარდა, ისღა დაგვრჩენია მოვემზადოთ სამდღიანი კონცერტებისთვის.

პროექტი ზაფხულში დაიგეგმა. თბილისელები ნელ-ნელა, თანდათან შეეჩვივნენ აქტუალური, საკლუბო, ელექტრონული მუსიკის ოსტატების სტუმრობას. მართალია, მათი დონე ყოველთვის უმაღლესი კლასის არ არის (რასაც ვერ ვიტყოდი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დი-ჯეი ფრექ ნასტის მოწვევაზე), მაგრამ დროთა განმავლობაში, ესეც დაიხვეწება. ის, რომ სექტემბრის პირველივე დღეებში Banco de Gaia-ს გამასპინძლება გვიწევს და არა.... (იგულისხმეთ ვინც გნებავთ), გარკვეულ იმედს მაძლევს, რომ უახლოეს მომავალში სასიამოვნო პერსპექტივებს ველოდოთ. Banco de Gaia კი მართლაც არ არის ურიგო არჩევანი. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ მოსინჯოთ და თუნდაც ინტერნეტიდან გადმოიწეროთ მისი რამდენიმე კომპოზიცია და დარწმუნდებით. მანამდე კი ორი სიტყვით ბრიტანელი მუსიკოსის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან.

ბრიტანეთში ეისიდ-ჰაუსის ბუმმა 80-იანების დასასრულს მსოფლიო მუსიკალურ საზოგადოებას უამრავი ახალი და საინტერესო სახელი გააცნო. იმ დროინდელი მუსიკალური ესთეტიკის ზეგავლენით წარმოიშვა თანამედროვე ელექტრონული მუსიკის უამრავი მიმართულება. ერთ-ერთი იმ მუსიკოსთაგანი, ვინც ბრიტანეთში ელექტრონული მუსიკის გავრცელებისთანავე დაიბადა, ტობი მარკსია. იგი წლების განმავლობაში Banco de Gaia-ს ფსევდონიმით მოღვაწეობს. თავიდან მისი საქმიანობა გატაცებას ჰგავდა. ეს იყო სურვილი, ელექტორნულ ჟღერადობასთან აღმოსავლური, ეგზოტიკური თუ არაბული მელოდიები შეეჯერებინა. მაგრამ, ამის გასაკეთებლად ტობი არ მოქცეულა სხვა უამრავი დი-ჯეის მსგავსად და არ მიუმართავს სემპლერებისთვის. ტობი მაგნიტოფონით ხელში გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში. შედეგად კი უკან დაბრუნებულ მუსიკოსს დაუგროვდა დიდი მასალა, რომელიც კასეტების სახით გავრცელდა იმ კლუბებში, სადაც თავად მუშაობდა.

ტობი მარკსი ოცი წლის განმავლობაში უკრავდა ელექტროგიტარაზე. თუმცა, მალევე გადავიდა სემპლერებზე: "მინდოდა რაღაც მეტი გამომეხატა, ვიდრე ეს გიტარის სოლოებსა თუ ჯაზურ კომპოზიციებს შეუძლიათ", - ამბობს საკუთარი არჩევანის განმარტებისას მუსიკოსი. "როდესაც ელექტრონული მუსიკის შექმნა დავიწყე, მივხვდი, რომ მუსიკას ვერ აღვიქვამდი სტილებითა და კონცეპტუალური ტერმინებით, ვინც არ უნდა ყოფილიყო - ჯიმი ჰენდრიქსის შემოქმედება თუ ინდური ხალხური სიმღერა", - ამბობს თავად მუსიკოსი. ტობი მარკსი ის ერთ-ერთი მუსიკოსია, ვინც თავის შემოქმედებაში ორგანულად გააერთიანა თანამედროვე ევროპული, აზიური და აფრიკული მელოდიები. "ათასწლეულების მიჯნაზე, ერთ დღეში შემიძლია ნებისმიერი მუსიკა შევქმნა", - ამაყობს იგი.

ტობი მარკსმა სოლო ალბომების გამოშვება 1993 წლიდან დაიწყო. აღსანიშნავია მისი 1995 წლის, რიგით მეორე ჩანაწერი Last Train To Lhasa, რომელიც ავტორმა ტიბეტის ოკუპაციის თემას მიუძღვნა. ტიბეტს მიეძღვნა მისივე საკონცერტო ჩანაწერი Live At Glastonbury. თუკი კრიტიკოსებს დავუჯერებთ, Banco de Gaia-ს შემოქმედების პიკი 1997 წელს გამოშვებული ალბომი Big Men Cry-ია. ჩანაწერი იმითაა გამორჩეული, რომ მასში შედარებით ნაკლებად იყო გამოყენებული აღმოსავლური მელოდიები და უფრო მეტად ამბიენტური (ამ სტილის ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს. ეს არის უფორმო მუსიკა, განუმარტებელი ისტორიით. ამ მუსიკის სათავეებთან მოიხსენიებენ ბრაიან ინოსა და გერმანულ ჯგუფს Tangerine Dream-ს. ამჟამად ტობი მარკსი ათზე მეტი ალბომის ავტორია. დგამს პერფორმანსებს. რას მოისმენს და იხილავს თბილისელი მაყურებელი დედაქალაქის მთავარ ღამის კლუბებში, ამას მოგვიანებით, ალბათ პირადად Banco de Gaia-გან შევიტყობთ. მუსიკოსი თბილისში პირველი კონცერტის დღეს, პარასკევს ჩამოდის.

# ქართული პოლიტიკის ახალი სახეები

ჯგუფ "სახის" ყოფილი წევრი, ამჟამად ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოგა ხაჩიძე წინასაარჩევნო კამპანიას სექტემბრის პირველ ნახევარში დაიწყებს. მომღერალს ამომრჩევლის წინაშე "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის ლიდერები: ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია წარადგენენ. გოგა ხაჩიძის თქმით, ჯგუფ "სახის" ასევე ყოფილი წევრის დათო ხუჯაძის "აღორძინებასთან" ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ ხუჯაძე მხოლოდ ამ პარტიის მიზნებს იზიარებს. "დათო მუსიკოსია, შესაბამისად აქვს ჰონორარი და იგი ამჟამად უბრალოდ "აღორძინებასთან" მუშაობს", ამბობს გოგა ხაჩიძე. ხაჩიძე არ გამორიცხავს, დათო ხუჯაძემ მის წინასაარჩევნო კამპანიაში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ, ეს იქნება მხოლოდ მეგობრული დახმარება. მომავალი დეპუტატობის კანდიდატის თქმით, მან უკვე უამრავი საქმე გააკეთა ხაშურის რაიონში და ეს საქმიანობა მისი არჩევის შემთხვევაში გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

# ეპისკოპოს ნაზარის სახლ-მუზეუმი

ქუთაისში ბაგრატის ტაძრის 1000 წლის საიუბილეოდ იმერეთის მხარის ადმინისტრაციისა და ქალაქის მერიის ინიციატივით, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოს ნაზარის (ლეჟავა) მემორიალური სახლ-მუზეუმი გაიხსნება. სახლ-მუზეუმის გახსნას საქართველოს პატრიარქი ილია II დაესწრება.

წმინდა ნაზარი ექვთიმე თაყაიშვილის თანამედროვე იყო. მან ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს განძის დაცვაში უდიდესი დახმარება გაუწია. მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდლო კრებული 1924 წელს დააპატიმრეს "მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური კრების მოწყობასა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობისათვის". სინამდვილეში იგი მღვდელთმსახურებთან ერთად სოფელ როდინოულის ეკლესიის კურთხევაში მონაწილეობდა. საეკლესიო მამები სიკვდილით დასაჯეს. ისინი საფიჩხიაზე გარიჟრაჟზე დახვრიტეს. წმინდა ნაზარის სახლ-მუზეუმს კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი ბართლომეოს პირველიც მოინახულებს. იგი თანმხლებ პირებთან ერთად ქუთაისს საიუბილეოდ ეწვევა. **მედია-ნიუსი**

# ანჩისხატის გუნდი ბაზელში

ანჩისხატის მგალობელთა გუნდი ბაზელში გასამგზავრებლად ემზადება. შვეიცარიის ქალაქში კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკის კვირეულია დაგეგმილი. როგორც გუნდის ლოტბარმა მალხაზ ერქვანიძემ განაცხადა, ისინი ბაზელში საათნახევრიან პროგრამას წარმოადგენენ და მსმენელის წინაშე ქართული ხალხური სიმღერებით წარსდგებიან. გუნდი კვირეულის ორგანიზატორების შვეიცარიულმა მხარემ მიიწვია. შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ, ანჩისხატის მგალობელთა გუნდი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საანგარიშო კონცერტს გამართავს. **მედია-ნიუსი**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში.
დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

## TV პროგრამა
### 3 სექტემბერი

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „განდგომილი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „მაშველები“ **19.00** თომა ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „განდგომილი“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „ზენდალი“. მთ. რ-ში: ნიკოლას კეიჯი, ერიკა ანდერსონი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „სამხედრო ხელობა“ **11.40** დოკ.სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი „მითიური რაინდები“ **15.15** მხ. ფილმი „სრულ მზადყოფნაში“ **16.55** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **17.15** 50-50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.15** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **18.55** „ბენი ჰილი“ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „მათი შვილები“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „ძვირფასი ტვირთი“.

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „შიშველი პისტოლეტი 33 - ბოლო ვარდნა“ მთ. რ-ში ლესლი ნილსენი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „მოსახვევი“. მთ.რ-ში შონ პენი, ჯენიფერ ლოპესი. **02.00** „ღამურა“ „ვამპირთა ღამე“ მთ. რ-ში კერი სმიტი, ბრენდან ფერი. **03.00** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „მალე ყველაფერი მოგვარდება“ **21.00** და არს მუსიკა **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი „მოხეტიალე რაინდები“.

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი „სკარლეტი“ მე-2 ნ. **15.00** მხ.ფილმი „ლამაზმანი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „ბრწყინვალება“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „განკიცხულნი“.

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** ბურთი და მოედანი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **12.50, 14.50, 19.30, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „ქალის ხვედრი“ **17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „სამყაროს მწვერვალზე“ **01.05** მუსიკა .

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.40** მხ. ფილმი „სიყვარულის თეთრი აფრები“ **14.20** „ტელემეტრი“ (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.20, 16.20, 18.50, 19.50, 20.20** მუსიკა **15.30** მხ. სერიალი „ღამის ექიმები“ **16.25** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.10** სერიალი „ღამის ექიმები“ **22.00** მხ.ფილმი „კლოუნის ღიმილით“ **23.30** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **00.20** მხ. ფილმი „კასაბლანკა“.

**იმედი**

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „მოახლე ტიტანიკიდან“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.30** „მულამები“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** არტ-ბულვარი **20.45** „დროებითი ზღვარი“ **23.35** ფანების კინოკლუბი „გააღეთ პოლიცია“.

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** დოკუმენტური ფილმი **10.10** სათავგ. ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“ **12.20** კომედია „ბრილიანტის ხელი“ **13.55, 17.15, 20.30** ვიდეოარტი **14.00, 18.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05, 01.55** მუსიკა **14.25** სათავგადასავლო ფილმი „ზევსი და როქსანა“ **16.20** მულტფილმი **17.20** კომედია „ბრილიანტის პოლიციელი“ **18.05** ფილმის გაგრძელება **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** „პრესდაიჯესტი“ **19.35** დოკუმენტური ფილმი **20.35** მხატვრული ფილმი „უდაბნოს ცხელი მზე“ **23.00** „ალტერნატივა“ **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 3 ს. **02.00, 03.40** დოკუმენტური ფილმი **04.00** თრილერი „ნამდვილი დანაშაული“.

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.20** „აჩიკუდა“ **09.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.30** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.00** კომპიუტერული ტექნიკა **11.30** მელოდია **11.40** მობილურები **12.30** მელოდია **13.10** კომპიუტერული თამაშები **13.15** დისნეი და მისი მეგობრები **13.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.00** „ნა-ნა-ნა“ - კარაოკე **22.00** მობილურები **22.50** „კინოკლუბი „ - „მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით“ - 1 სერია . კომედია. რეჟ: ივ რობერი. როლებში: პიერ რიშარი, ჟან როშფორი. **00.15** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ - მე-7 სერია **01.15** აუდიო-ვიდეო-ტელე.

**ОРТ**

**07.00** „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.25 Боевик „Петр Великий“ 12.35** Дисней-клуб: „Чудеса на виражах“ **13.15** Шоу „Город женщин“ **14.05 Худ.фильм „Когда деревья были большими“ 16.10** „Кремль-9“. „Царская охота“ **16.55 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.25** „Смехопанорама“ **20.55 Сериал „Убойная сила“ 22.00, 00.30** „Время“ **22.30 Сериал „Две судьбы“ 23.40** „Тайны века“. „Мерилин Монро. Голливудская трагедия“ **01.00** „Сканер“ **01.30** „Крылья“. „Самолет для президента“ **02.00 Худ.фильм „Давай займемся любовью“.**

**РТР**

**06.00** „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Каменская 2“ 10.50** „Сам себе режиссер“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 14.45, 17.25, 00.20** „Вести“. Дежурная часть **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Лучший город Земли“ 18.10 Сериал „Бригада“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **23.00 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 00.00** „Вести+“ **00.35 Худ.фильм „Русская рулетка“ 02.15** „Дорожный патруль“ **02.25** „Горячая десятка“ **03.25 Сериал „Ангелы Чарли“ 04.20 Худ.фильм „Лоуренс Аравийский“, 2 с.**

**НТВ**

**07.00** „Утро на НТВ“ **09.45 Детектив „Дронго“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Растительная жизнь“. И.Дмитриев **12.05** „Кулинарный поединок“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.05** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.40** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Как зомбируют людей?“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** „Чистосердечное признание“ **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.50 Детектив „Дронго“, 7 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30** „Красная стрела“ **23.50 Сериал „Клан Сопрано“ 01.30** „Гордон“ **02.35** „Ленивая ночь“ **03.15 Сериал „За гранью возможного“.**

# დონიცეტის "ლუჩია" ორსულადაა!

მელორ სტურუა
*საქ.კორ. აშშ-ში*

ძალიან სევდიანი ამბავია. ცნობილი ოპერა-ბელკანტო, რომელიც გაეტანო დონიცეტიმ 168 წლის წინათ ვალტერ სკოტის რომანის მიხედვით დაწერა, უაღრესი ტრაგიზმითაა აღსავსე. მოქმედება მე-16 საუკუნის ბოლოს, შოტლანდიაში ხდება. ლუჩიას ედგარო უყვარს, მაგრამ ის, სამწუხაროდ, ლუჩია ძმის, ენრიკოს დაუძინებელი მტერია. მისი იძულებით ლუჩია არტუროს მიჰყვება ცოლად, რომელიც არ უყვარს. საკურთხევლისკენ მიმავალი ლუჩია გიჟდება, საქმროს კლავს და შემდეგ თავადაც კვდება. ამ ამბით შეძრული ედგარო თავს იკლავს.

ამ ოპერას, რომელმაც დიად სოპრანოებს – მარია კალასსა და ჯოან საზერლენდს საქვეყნო აღიარება მოუტანა, ფერების გამუქება ნამდვილად აღარ სჭირდება. მაგრამ, სწორედ ეს მოხდება 13 სექტემბერს ნიუ იორკის "სიტი ოპერაში", რომელიც დონცეტის "ლუჩია დი ლამერმურის" პრემიერისთვის ემზადება. ტრაგიზმის გასამძაფრებლად არც პარტიტურის, არც ოპერის ლიბრეტოს შეცვლა არ იყო საჭირო. ეს არც ამჟამად მოდური ძველი სიუჟეტის მოდერნიზაციაა, როცა აბჯარს პიჯაკები ცვლის (საუკეთესო შემთხვევაში), ან სულაც დედიშობილა დარბიან ხოლმე სცენაზე. და საერთოდ, ოპერის დამდგმელი ჯეიმს რობინსონი ნოვაციაზე იძულებითი წესით წავიდა – მთავარი პარტიის შემსრულებელი, ჯენიფერ ველჩ-ბეიბიჯი ორსულადაა.

ჯენიფერი ორსულადაა, თან მეექვსე თვეზეა. ამის დაფარვა ვერაფრით მოხერხდება. დამდგმელის თქმით, "იმხანად ქალები ვიწრო კორსეტებს ატარებდნენ. მაშ, როგორ ჩავტენო ძვლის კორსეტში ექვსი თვის ორსული ქალი?" რეჟისორმა საოპერო მოქმედებაში დიდი მუცლის "ინკორპორაცია" გადაწყვიტა. მას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, პოლ კელოგმაც დაუჭირა მხარი. "ცხადია, ეს ახალი იდეა ყველას არ მოეწონება. მაგრამ თეატრი ხომ მხოლოდ ტრადიცია არ არის, ექსპერიმენტიცაა. ექსპერიმენტის გარეშე ოპერის ჟანრს გახისტება ელის," ამბობს ის.

მთავარი "ვარსკვლავის" პოზიციაა – რამენად მისაღებად ჩათვლის ის დამდგმელის ჩანაფიქრს? "ვარსკვლავი" ფრიად დამყოლი გამოდგა და თავის მუცელი ოპერის წარმატებისთვის ბრძოლაში ჩააბა. "ისედაც გადაწყვეტილი მქონდა, რომ ამ პერსონაჟისთვის მთლიანად მიმეძღვნა თავი," უთხრა მან რეპორტიორებს, "ამიტომ თანახმა ვარ იმაზე, რომ ჩემს გმირში ორსულობის ინკორპორაცია მოვახდინო, და ეს ერთობ საინტერესოდ მესახება. ეს შტრიხი ოპერას მხოლოდ გაამდიდრებს, ვიზუალურადაც და ქვეტექსტის თვალსაზრისითაც".


*უელშ ბეიბრიჯი მეორე შვილს ელოდება*

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს რეჟისორული ნოვაცია არც პარტიტურის და არც ოპერის ლიბრეტოს შეცვლას არ ითხოვდა. "ვარსკვლავის" გაბზეკილი მუცელი ორგანულად ჩაჯდა თხრობის ხაზში და ტრაგიკული ფინალის ლოგიკაც კი გაამძაფრა, უფრო დამაჯერებელი გახადა. ედგაროს და ლუჩიას ერთმანეთი დიდი ხნის განმავლობაში უყვართ, ამიტომ, სიუჟეტის თვალსაზრისით, ორსულობა სავსებით გამართლებულია. ლუჩიას ორსულობა მისი ძმის, ენრიკოს გააფთრებასაც ხსნის და მისი საქმროს, არტუროს თავზარდაცემასაც.

ორსულობის თემის განვითარება ნელ-ნელა ხდება. ლუჩია მის დაფარვას ცდილობს (კოსტუმების მხატვრის, კონსტანს ჰოფმანის ოსტატობის წყალობით). მაგრამ გადის დრო (თეატრალური), და ცოდვა თვალშისაცემი ხდება. როცა ტრაგედიაში დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლეც ერევა, მოქმედების დრამატიზმიც მძაფრდება. ეფექტი ძუნწი მოძრაობებით და მრავლისმეტყველი მზერებით მიიღწევა. ამბობენ, რეპეტიციების დამსწრე საზოგადოება ერთხმად ქვითინებდაო, განსაკუთრებით, ქალებიო...

"ლუჩია დი ლამერმური" ნიუ იორკის "სიტი ოპერას" სცენაზე 13 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე შესრულდება. ბოლო წარმოდგენის დღეს ჯენიფერ ველჩ-ბეიბიჯი შვიდი თვის ორსული იქნება. ბავშვის გაჩენას დეკემბერში ელიან. უკვე ცნობილია, რომ მომღერალს ბიჭი ეყოლება, უკვე მეორე ბიჭი.

ორსულობასთან დაკავშირებული ექსპერიმენტი ოპერას დიდ წარმატებას უქადის, მით უმეტეს, რომ მასმედიამ მას უკვე დიდი რეკლამა გაუწია და ის უკვე არამარტო მელომანთა ინტერესს იწვევს. ამბობენ, კიდევ ერთი მოულოდნელი ექსპრომტი – ნაადრევი მშობიარობა, განსაკუთრებით, პირდაპირ სცენაზე, ოპერას არნახულ წარმატებას მოუტანსო. ვინ იცის, იქნებ ნიუ იორკის "სიტი ოპერას" სცენაზე ახალი კარუზო დაიბადოს? შვიდთვიანი გენიოსები უხვად არიან, ვთქვათ, ნაპოლეონ ბონაპარტი და აინშტაინი.

მოკლედ, ვნახოთ.

**P.S.** მკითხველი, რომელიც თანამედროვე ამერიკის სინამდვილეს არ იცნობს, შეიძლება დაინტერესდეს: რატომ არავინ შეცვლის ორსულ მომღერალს? პირველი მიზეზი ისაა, რომ "ვარსკვლავებს" არ ცვლიან. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება – თუ "ვარსკვლავის" კაპრიზები ზღვარს საბოლოოდ გადასცილდება ხოლმე, ან როცა მას ფიზიკურად არ შესწევს სიმღერის უნარი. ჯენიფერი ახირებული არ ყოფილა, პირიქით, დიდსულოვნებაც გამოიჩინა, ორსულობამ კი მის ხმას დამატებითი სიღრმე და დრამატიზმი შემატა. მეორე ისაა, რომ ორსულობის გამო ქალის სამსახურიდან დათხოვნა შეერთებულ შტატებში კატასტროფის ტოლფასია. ასეთ ბეც და გაუფრთხილებელ საქმის მწარმოებელს ძლევამოსილი ამერიკული ფემინიზმის სასტიკი რისხვა დაატყდება თავს. ჯენიფერ-ლუჩიასთვის ასეთი რამ რომ გაებედათ, "სიტი ოპერა" პიკეტების რკალში აღმოჩნდებოდა, და წარმოდგენების ბოიკოტირებაში დონიცეტის ყველაზე თავდადებული თაყვანისმცემლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ისე, ამერიკული ავიახაზების გამცილებლებს მიაქციეთ ყურადღება – მათ შორის მრავალად შეხვდებით ხანშიშესულ, მოკლეფეხება ქალბატონებს, ორსულებსა და ზომაზე მეტად მსუქნებს, რომლებიც რის ვაი-ვაგლახით ეკვეტებიან სავარძლებს შორის. ცხადია, ლამაზი, ახალგაზრდა და გრძელფეხება ქალების ნაკლებობას ეს ქვეყანა არ განიცდის – უხვად ჰყავთ. ეს უბრალოდ იმის შედეგია, რომ ასაკის, სიმაღლის და წონის მიხედვით ქალთა დისკრიმინაციას ბოლო მოეღო. აი, ასე! დონიცეტის დროის იტალია, ან, მით უმეტეს, ვალტერ სკოტის დროინდელი შოტლანდია არ გეგონოთ. მართალია, მაშინ არც თვითმფრინავები არსებობდნენ და არც მათი გამცილებლები.

"ხარ ქალი და უკვე მით ხარ მართალი!" რუსი პოეტის, ვალერი ბრიუსოვის ეს სიტყვები ამერიკაში მაღალფარდოვანი პათეტიკა კი არა, შემდგარი ფაქტია.







"რუსთავი 2 პრინტი" წარმოგიდგენთ ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ახალ რომანს "გოდორი", თანამედროვე ქართული მწერლობის ქრესტომათიულ ბესტსელერს "დღეს", და ლიბერალური დემოკრატიის ნამდვილ სახელმძღვანელოს, ნიკოლო როგოვოს "თავისუფლების კანონს". წიგნების შეძენა შესაძლებელია ყველგან საქართველოში, სადაც კი წიგნი იყიდება.

ამერიკული კომპანია PEPSI-COLA-ს
ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შპს "იბერია რეფრეშმენტი" იწვევს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.
მოთხოვნები
- განათლება - უმაღლესი.
- სასურველია მანქანის მართვის ცოდნა.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოაგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) 15 სექტემბრამდე ფაქსზე 43 35 15

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.